ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ჩინეთის შავი ორშაბათი



გვ.7

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 25 აგვისტო, 2015 №198 (6818) ფასი: 30 თეთრი

# „თინა, არ გინდა ამდენი ბრახა-ბრუხი!“

რას უწუნებს თინა ხიდაშელს გია ხუხაშვილი





გვ.3

## „აფხაზეთიდან მატარებელი ძალით ვერ შემოგვივარდება“



გვ.4

## „მაჟორიტარული სისტემის გასაუქმებლად ხალხიც უნდა მოვამზადოთ“

გვ.2





## გუგული მაღრაძე: „პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში ხელოვნურად ვერ გამოიწვევენ“

## რუსეთს საქართველოს გავლით სირიაში იარაღის გადატანა სურს

მაისაია: „საქართველოს თანხმობა კაპიტულაცია იქნება“



გვ.4

## დავით ნარმანიამ 15 ათას დოლარად ავტომობილი შეიძინა

გვ.3



ISSN 1987-9385



გვ.3

## პარლამენტმა სახალხლო ფურშეტისთვის 16.078.50 ლარი დახარჯა

## პეტრე მამრაძე: „ჩვენ დღემდე სააკაშვილის ავანტიურის შედეგებს ვიმკით“



გვ.3





გვ.2

## ზურაბ მელიქიშვილი: „მთავრობამ ქვეყანა გააღარიბა, ამიტომ უნდა გადადგეს“

# გუგული მაღრაძე: „პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში ხელოვნურად ვერ გამოიწვევენ“

## „მაჟორიტარული სისტემის გასაუქმებლად ხალხიც უნდა მოვამზადოთ“

მარიამ მჭედლიშვილი





რას ნიშნავს პოლიტიკური პარტიების ჯგუფის მიერ გამოცხადებული ბოიკოტი? რატომ არის შეუძლებელი არჩევნების ბოიკოტი? შეუძლია თუ არა ვინმეს პოლიტიკური კრიზისის პროვოცირება? როგორი საარჩევნო გარემოა საქართველოში? რისი გაკეთება იგეგმება ეტაპობრივად? რა დადებით ძვრებს ამჩნევს საზოგადოება? როგორ შეიძლება ამომრჩეველთა პასიურობის დაძლევა?

„ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წევრ გუგული მაღრაძეს.

***– შემოდგომაზე შუალედური არჩევნებია. პარტიების ჯგუფმა ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა..***

– ეს პარტიების უფლებაა. ამ უფლებას მათ ვერ ჩამოვართმევთ. ჩემი აზრით, ამ პარტიებმა გააცნობიერეს, რომ ამ არჩევნებში წარმატების არანაირი შანსი არა აქვთ და თავის არმონაწილეობას დაარქვეს ბოიკოტი. რეალურად, ბოიკოტი არ გამოვა. საქართველოში არჩევნების ბოიკოტის პრაქტიკა არ გვაქვს, იმიტომ, რომ ბოიკოტის მომხრეების პარალელურად ყოველთვის არსებობენ ძალები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ. ამჯერადაც ასე იქნება. ამჟამად ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ პარტიებმა არჩევნებში ძალები მოსინჯონ. თანაბრობის პრინციპი მაქსიმალურად არის დაცული.

***– თუმცა, საარჩევნო გარემო გასაუმჯობესებელია. კოალიცია „ქართული ოცნებაც“ ხომ აპირებს ამ თვალსაზრისით თავისი წინადადებების წარმოდგენას?***

– დიახ. ყველაფერი ეტაპობრივად მოხდება. მთავარი იყო ამომრჩეველთა ხმების გათანაბრებისკენ გადადგმული ნაბიჯი. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ. გარდა ამისა, ჩვენ ბარიერი 50 პროცენტამდე ავწიეთ. უახლოეს ხანში რადიკალური და ძირეული ცვლილებები არ მოხდება. 2020 წლისთვის დაგეგმილია პროპორციული სისტემის დამკვიდრება. პირადად მე პროპორციული არჩევნების მომხრე ვიყავი ყოველთვის, მაგრამ მაჟორიტარული სისტემის მყისიერად გაუქმება შეუძლებელია.

***– რა უშლის ამას ხელს?***

– ამისთვის საზოგადოებაც არ არის მზად. მოსახლეობის ნაწილს მიაჩნია, რომ მის ოლქში არჩეული მაჟორიტარი მას პრობლემებს გადაუწყვეტს. უნდა ვეცადოთ, რომ გაძლიერდეს თვითმმართველობა, ხალხის ყოფითი საკითხები მოაგვაროს თვითმმართველობამ. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება უარის თქმა მაჟორიტარებზე საკანონმდებლო ორგანოში. პროცესი თანდათან და უმტკივნეულოდ უნდა განხორციელდეს.

***– თუ 2016 წლისთვის ძირეული საარჩევნო ცვლილებები არ მოხდა, პარტიების ნაწილი ქუჩის აქციებით იმუქრება.***

– საპროტესტო აქციების გამართვა პოლიტიკური ძალების უფლებაა. „ქართული ოცნება“ დემოკრატიული ხელისუფლებაა და ამას არ დაუპირისპირდება. ესაა პოლიტიკოსების ნაწილი, რომელიც თავის პოზიციას გამოხატავს.

***– ანუ მომავალში პოლიტიკური კრიზისის გამოწვევის შესახებ ვარაუდი არ გამართლდება?***

– პოლიტიკური კრიზისის ასე იოლად გამოწვევა ვერ მოხდება. ამ პოლიტიკოსებს ხალხიც არ აჰყვება.

***– რატომ არ აჰყვება ხალხი?***

– იმიტომ, რომ ადამიანებს ამნეზია არ სჭირთ. მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, ისინი ხედავენ, რას აკეთებს ხელისუფლება. ჩვენი მოქალაქეები აღიარებენ, რომ ათი წელიწადი, ან მეტია, რაც ძალიან უჭირთ. ამ მდგომარეობის მოკლე ვადებში გამოსწორება შეუძლებელია. საყოველთაო დაზღვევა ჩვეულებრივ მოვლენად გვექცა. რეალურად, ამ სასიცოცხლო პროგრამით გადარჩა უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ქონება.

**ჩვენ ასეთ მოკლე დროში უმუშევრობას ორნიშნა ციფრით ვერ შევამცირებდით. ამაზე მუდმივად ვმუშაობთ და თანდათან უმუშევრობა შემცირდება. მთლიანად უმუშევრობას ვერ აღმოვფხვრით**

წინა ხელისუფლების დროს სამკურნალო ფულის უქონლობის გამო, ადამიანები იხოცებოდნენ, ან საცხოვრებელს ყიდდნენ. სოციალური დახმარებებიც არსებობს. პირადად მე მომხრე ვარ, რომ ამ დახმარებებს სახელმწიფო უფრო მკაცრად მიუდგეს.

***– რას ნიშნავს, უფრო მკაცრად მიუდგეს?***

– აქცენტი უნდა გავაკეთოთ დასაქმებაზე და არა შემწეობაზე. მაგალითად, შრომისუნარიანი მოქალაქე არც ისე იშვიათად უარს ამბობს შეთავაზებულ სამსახურზე და ამას სოციალურ დახმარებას ამჯობინებს. მაგალითისათვის, პირობითად, თუ ის 400-ლარიან დახმარებას იღებს, 600-ლარიან სამსახურში არ მიდის. კიდევ ერთი მაგალითი, 30 წლის ჯანლონით სავსე ახალგაზრდა კაცი სახელმწიფოსაგან მოითხოვს დახმარებას იმ დროს, როცა კარგი მიწის ნაკვეთი აქვს და იმას არ ამუშავებს. ზოგი თავის დიპლომს უყურებს და ამის მიხედვით ეძებს სამუშაოს. საბაზრო ეკონომიკაა და ასეთ პირობებში სხვა გამოსავალი, სხვა სამუშაო უნდა ეძებო. ჩვენ ასეთ მოკლე დროში უმუშევრობას ორნიშნა ციფრით ვერ შევამცირებდით. ამაზე მუდმივად ვმუშაობთ და თანდათან უმუშევრობა შემცირდება. მთლიანად უმუშევრობას ვერ აღმოვფხვრით. ამას მსოფლიოში ვერსად ვერ ახერხებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბიზნესი გათავისუფლდა. ხელისუფლება ბიზნესში არ ერევა და მას ხელს არ უშლის.

შეიძლება ითქვას, რომ აქამდე ბიზნესი თავისუფალი არასდროს ყოფილა. ბიზნესისა და სიტყვის თავისუფლება „ქართული ოცნების“ მონაპოვარია. ხალხი ამას ხედავს. დარწმუნებული ვარ, რომ ამას 2016 წელსაც გაიხსენებს.

***– შარშან ადგილობრივ არჩევნებზე უამრავი ადამიანი არ მივიდა. ამისაგან დაზღვეული არც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები უნდა იყოს.***

– უნდა ვთქვა, რომ მოქალაქეების მისვლა არჩევნებზე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. არ ველი, რომ 2016 წელს საარჩევნო უბნებზე ისეთივე ხალხმრავლობა იქნება, როგორც ეს 2012 წელს იყო. მაშინ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგა. მომავალ წელს ამომრჩეველთა 90-პროცენტიანი გამოცხადება არ იქნება. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რომ ადამიანები გააქტიურდნენ.

***– კანონითაც ხომ არ დაავალდებულებთ არჩევნებზე გამოცხადებას?***

– არა. არის ქვეყნები, რომლებშიც არჩევნებზე მისვლას მოქალაქეებს კანონი ავალდებულებს. ჩვენ ასე შორს ვერ წავალთ. ჩვენ განმარტებები უნდა გავაკეთოთ, უნდა ავუხსნათ ადამიანებს, რომ ისინი მოვალე არიან, ოთხ წელიწადში ერთხელ აირჩიონ პარლამენტი და პრეზიდენტი. ეს მათი ვალდებულებაა. სხვანაირად ისინი ვერ მოსთხოვენ საქმის გაკეთებას არჩეულ პირებს.

მოქალაქეებმა უნდა შეიგნონ, რომ მარტო ხელისუფლება კი არ არის ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე, არამედ, საზოგადოებაც ვალდებულია, მივიდეს არჩევნებზე.

მთავარია, მოქალაქე მივიდეს არჩევნებზე და თუნდაც, ყველა გადახაზოს. კიდევ ერთი რამის თქმა შემიძლია – მომავალი არჩევნებიც სუფთად და დემოკრატიულად ჩატარდება. მთავარია, აქტიურობა იყოს.

# „ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტი პოლიტიკური გზავნილია“

ნატო-ში საქართველოს ელჩის, ალექსანდრე მაისურაძის განცხადებით, ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტი პირველ რიგში არის პოლიტიკური გზავნილი და იმის დასტური, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დღის წესრიგში საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამის შესახებ ალექსანდრე მაისურაძემ ჟურნალისტებს საქართველოში 26-27 აგვისტოს დაგეგმილი ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტის შეფასებისას განუცხადა.



**ალექსანდრე მაისურაძე:**

– ეს არის პოლიტიკური გზავნილი, რომ ალიანსი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობას.

რაც შეეხება ნატო-საქართველოს საწვრთნელ ცენტრს, მისი თქმით, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების თვალსაზრისით.

**ალექსანდრე მაისურაძე:**

– ცენტრი გააუმჯობესებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობას, ასევე გააუმჯობესებს მის თავსებადობას ალიანსის შეიარაღებულ ძალებთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც ხაზი უნდა გავუსვათ, ეს არის ის, რომ ცენტრი არის ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები არიან სათანადო დონეზე მომზადებულები, მზად არიან იმისთვის, რომ თავისი გამოცდილება გაუზიარონ ალიანსის წევრებს და პარტნიორი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს.

კითხვაზე, განიხილება თუ არა ნატო-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრებზე ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის მიერ სარკინიგზო ჯარების შეყვანა და რკინიგზის აღდგენა, ალექსანდრე მაისურაძემ აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც ხდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ბუნებრივია, იქნება საუბრის თემა.

– რაც შეეხება ამ კონკრეტულ პროვოკაციულ ნაბიჯს, რომელიც განხორციელდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად ვერ გაგცემთ პასუხს, თუ რა კონტექსტში განიხილება, უბრალოდ, ჩემი შეფასება არის ასეთი – ეს არის კიდევ ერთი პროვოკაციული ნაბიჯი, რომელიც ხორციელდება საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან, – განაცხადა ელჩმა.

ინტერპრესნიუსი

# ზურაბ მელიქიშვილი: „მთავრობამ ქვეყანა გაალარიბა, ამიტომ უნდა გადადგეს“

მთავრობამ მოსახლეობა და ქვეყანა გაალარიბა, ამიტომ ის უნდა გადადგეს, – ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა.




მისი თქმით, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 40%-ით გაუფასურებულია, აქედან ზაფხულის პერიოდში ვალუტის კურსის ვარდნამ 5% შეადგინა.

**ზურაბ მელიქიშვილი:**

– მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ზაფხულში ტურისტული სეზონის გამოყენებით ლარის გამყარებას გარკვეულწილად შეუწყობდნენ ხელს, პირიქით მოხდა და ლარი ამ პერიოდის განმავლობაში 5%-ით გაუფასურდა. ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა პირდაპირ აისახება მოსახლეობის გაღარიბებაზე. აღნიშნულის მიზეზი კი ხელისუფლების მხრიდან გეგმის არ ქონა, პროცესების არაადეკვატურად შეფასება და უუნარობაა.



შემცირებულია ყველა ეკონომიკური პარამეტრი, მათ შორის ექსპორტი, ინვესტიციები, რაც პირდაპირ ურტყამს ლარის კურსს. იზრდება ფასები, უმუშევრობა და მოსახლეობასთან ერთად ქვეყანაც ღარიბდება, რადგან ხელისუფლებას აღნიშნული პრობლემის დაძლევის გეგმა არ აქვს, პირიქით – ის ამ წლების განმავლობაში ისეთ რეგულაციებს ღებულობდა, რომლებიც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას პირდაპირ ბლოკავდა, ჩვენ მის გადადგომას მოვითხოვთ.

ასეთი ხელისუფლება უნდა წავიდეს და არჩევნები დაინიშნოს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი
გამოდის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თინა, არ გინდა ამდენი ბრახა-ბრუხი!“

## რას უწუნებს თინა ხიდაშელს გია ხუხაშვილი

ნონა ცაბაძე

რუსეთის კონტრსანქციებში საქართველო არ მოჰყვა, თუმცა მცოცავი რუსული ოკუპაცია კვლავაც გრძელდება. ექსპერტი გია ხუხაშვილი საქართველოში მიმდინარე პროცესებს მსოფლიო პრობლემატიკას უკავშირებს.

– მიმდინარეობს დაძაბული დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის. ამ პირობებში რუსეთი მწვავედ რეაგირებს ყველა ისეთ მოძრაობაზე, რაც მის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. ის განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებს ნებისმიერ რიტორიკაზე. განსაკუთრებით, ევროატლანტიკური მიმართულებით, – ფიქრობს ექსპერტი.

ის არ გამორიცხავს, რომ ეს რეაგირება უკავშირდებოდეს თავდაცვის მინისტრ ხიდაშელის რადიკალურ განცხადებებს, რომელიც ნატოში საქართველოს გაწევრიანების ფორსირებას ითხოვს.

– მისი მხრიდან ეს სასაცილო რიტორიკაა. ბუნებრივია, რომ ამ პროცესის ფორსირებაზე რუსეთს ექნება სხვადასხვა ტიპის რეაგირება. ჩვენ გვაქვს ჩვენი მისწრაფებები, ჩვენი განვითარების ვექტორი, რაც რუსეთს აღიზიანებს და არ მოსწონს, – ამბობს ექსპერტი ხუხაშვილი.

მისი თქმით, დღეს დიალოგი საქართველოსა და რუსეთს შორის ძალიან რთულია. იმდენად დაშორებულია პოზიციები, რომ დღეს უმაღლეს დონეზე დიალოგს აზრი არ აქვს. ამიტომ საჭიროა ზომიერი ურთიერთობები. ეკონომიკური და ჰუმანიტარული აქტივობა არის ურთიერთობის ერთადერთი საშუალება

– ჩვენ ამ სიტუაციაში მთავარი რესურსი არ გამოგვიყენებია – ჩვენ ვერ ვახერხებთ, აფხაზებთან თუ ოსებთან პირდაპირი, თუნდაც სახალხო დიპლომატიის ენაზე საუბრის დაწყებას და ესეც დამატებითი პრობლემაა, – ფიქრობს ექსპერტი.

* * *

გია ხუხაშვილს არ მოსწონს თავდაცვის მინისტრის ბოლოდროინდელი განცხადებები და მას რიტორიკას უწუნებს:

– სახიფათოა. რაზეც თავდაცვის მინისტრი საუბრობს. ამას შინაარსობრივად არ ვაკრიტიკებ, ეს არის ჩვენი განვითარების ვექტორი და ეს გამოცხადებული გვაქვს, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა.

***– რას უწუნებთ თავდაცვის მინისტრს?***

– ის მუდმივად საუბრობს პროცესის ფორსირებაზე. კარგი იქნება, თუ მოხდება ფორსირება, მაგრამ ბევრი ლაპარაკი ამას არ უნდა, ამას უნდა საქმის კეთება!

***– ეს უბრალოდ მყვირალა განცხადებებია?***

– დიახ. არ არის საჭირო ამდენი ბრახა-ბრუხი. ეს ყოველ წუთში ზრდის რისკებს, თანაც დროზე ადრე. ჩვენ უნდა ვმოქმედებდეთ, მაგრამ კულისებში. ჯობია, ჩუმად გადადგა ეს ნაბიჯი და ფაქტის წინაშე დააყენო მოწინააღმდეგე, რომ რეაგირება ვერ მოასწროს. შენ რომ წინასწარ აანონსებ რაღაცებს, ისე, რომ ნაბიჯიც არ გადაგიდგამს, ეს, არა მგონია, სახელმწიფოებრივად და თუნდაც ინტელექტუალურად იყოს სწორი ტაქტიკა.





***– ეს ხიდაშელის გამოუცდელობის ბრალია თუ თავს იწონებს დასავლეთის თვალში?***

– პარტიული პოლიტიკოსები ამით გამოირჩევიან, რომ პოპულიზმის ელემენტები მათ ქმედებებში მუდმივად იკვეთება ხოლმე.

***– ანუ მხოლოდ პიარია მისი საქმიანობა?***

– არა, ამას ვერ ვიტყოდი. ის საკმაოდ ქმედითია და მუშაობს, დადის, ხვდება, აქვს პოლიტიკური გამოცდილება, თუმცა ეს ყველაფერი არ უნდა შეიფუთოს პიარით, რადგან რისკი არის ძალიან მაღალი.

* * *

ბოლო პერიოდში რესპუბლიკელები საგრძნობლად აქტიურობენ. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მათ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყონ.

გია ხუხაშვილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, რადგან რესპუბლიკური პარტიისგან დამოუკიდებელი თამაში არასერიოზულად მიაჩნია:

– შეიძლება სიზმრებში ასეთი რაღაცები ელანდებათ, მაგრამ პარტიისთვის, რომელსაც ხალხში ლეგიტიმაცია აქვს პრაქტიკულად ნულის ტოლი, დამოუკიდებელი თამაშის წამოწყება სასაცილოა. დღესაც, ძალაუფლების წილი, რომელიც მათ აქვთ, შეუსაბამოა მათ სახალხო ავტორიტეტთან.

***– ეს ხომ თავადაც იციან, მაშინ რა არის მათი მიზანი?***

– რესპუბლიკელები თვლიან, რომ ხელისუფლებაში ისინი არიან ერთადერთი ძალა, რომელსაც აქვს ინტელექტუალური რესურსი და გამოცდილება სახელმწიფოს მართვისთვის. ამაში არის სიმართლის მარცვალი, რადგან „ქართულ ოცნებაში“ ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. თუმცა ყველაფერი ფარდობითია. თამასა იმდენად დაბლაა დაწეული, რომ რესპუბლიკელები შეიძლება წამყვან ინტელექტუალურ ძალად ჩაითვალონ ხელისუფლებაში. ისინი ცდილობენ ამით ისარგებლონ, ამაზე ისაუბრონ და ამის გამო მიიღონ ხელისუფლების მეტი წილი.

***– ანუ ვაჭრობენ?***

– დიახ და ეს ორლესული მახვილია. დღეს „ქართულ ოცნებას“ არ აქვს იმის ფუფუნება, რომ რესპუბლიკურ პარტიას გარიგებებზე უარი უთხრას, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. რესპუბლიკურმა პარტიამ არ უნდა მოითხოვოს იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ის იმსახურებს, თორემ ეს გადამლაშება ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა მათთვის ცუდად დამთავრდეს. სხვაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დავით უსუფაშვილს ეს ყველაზე კარგად უნდა ესმოდეს. ამ ზომიერებას ვერც ის იცავს ხშირად, თუმცა ამ მხრივ მას ოჯახშიც არ აქვს კარგად საქმე.

***– საუბარია, რომ უსუფაშვილს პრემიერობა სურს და ახლა ამაზე ვაჭრობენ რესპუბლიკელები.***

– მე ვფიქრობ, რომ ეს უკვე ჩავლილი მატარებელია. უსუფაშვილს ეყოფა იმის ჭკუა და ინტელექტი, რომ რომც იყოს ასეთი შეთავაზება, ამაზე უარი თქვას. მას ნამდვილად უნდა ესმოდეს, რომ მისთვის, შესაძლოა, ეს აღმოჩნდეს ისეთი ხაფანგი, რომლიდანაც ველარასოდეს გამოვა.

## პეტრე მამრაძე: „ჩვენ დღემდე სააკაშვილის ავანტიურის შედეგებს ვიმკით“

მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე მიიჩნევს, რომ ბოლო დროს ატეხილი აჟიოტაჟი, აფხაზეთში ოჩამჩირიდან ენგურამდე რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით, სააკაშვილის სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის „დამსახურებაა“.





ამის შესახებ მამრაძემ „სპუტნიკ-ჯორჯიასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

– სააკაშვილმა განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა, რითაც ძალიან დიდი დანაშაული ჩაიდინა ქართველების, ჩვენი ოსებისა და ჩვენი აფხაზების მიმართ. ამის შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა და ამ ურთიერთობის ჩარჩოებში მოქმედებს ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროიდან, როდესაც 100-ზე მეტი ხელშეკრულება გააფორმა მის მიერ აღიარებულ რეგიონებთან.

აღნიშნული რკინიგზის აღდგენის პრობლემაც სწორედ იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც მოსკოვი 2008 წლის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ატარებს.

მისივე თქმით, ჩვენ დღემდე სააკაშვილის ავანტიურის შედეგებს ვიმკით.

ნიუსპრესი

## პარლამენტმა საახალწლო ფურშეტისთვის 16.078.50 ლარი დახარჯა



ახალი, 2015 წლის მოახლოება პარლამენტმა დეკემბრის ბოლოს საზეიმო ღონისძიებით აღნიშნა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმაციით, საახალწლო ღონისძიების მოსაწყობად, „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფ ემ/გრუპ“-ისგან აპარატმა 16 078.50 ლარის მომსახურება შეისყიდა, რომელიც 400 პირისთვის ფურშეტის მოწყობას გულისხმობდა.

ინფორმაციისთვის, საქართველოს პარლამენტის აპარატმა მთელი წლის განმავლობაში ამ კომპანიის მომსახურება 27-ჯერ შეისყიდა, რისთვისაც ჯამში 87.357.93 ლარი გადაურიცხა.

ნიუსპრესი

## დავით ნარმანიამ 15 ათას დოლარად ავტომობილი შეიძინა

მისმა წლიურმა შრომის ანაზღაურებამ კი 64 658.88 ლარი შეადგინა

დავით ნარმანიას, ამჟამად თბილისის მერის შრომის ანაზღაურებამ ერთი წლის განმავლობაში 64.658.88 ლარი შეადგინა.

კერძოდ, ოფიციალური ინფორმაციით, 2014



წელს დავით ნარმანიამ, როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, შრომის ანაზღაურების სახით 21.710.53 ლარი მიიღო; როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა – 27.207.35 ლარი, ხოლო როგორც თბილისის მერმა – 15.741.00 ლარი.

შრომის ანაზღაურების გარდა, დავით ნარმანია, მთელი წლის განმავლობაში, შემოსავალს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდანაც იღებდა. აღნიშნულმა შემოსავალმა 2014 წელს 12.000.00 ლარი შეადგინა.

ინფორმაციისთვის, გასულ წელს დავით ნარმანიამ ავტომობილიც გამოცვალა. შედეგად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის საკუთრებაში მსუბუქი ავტომანქანა, 2007 წელს გამოშვებული ავტომანქანა ირიცხება. 15 აპრილს შეძენილ ავტომობილში თბილისის მერმა 15.000 დოლარი გადაიხადა.

ნიუსპრესი

## თინა ხიდაშელი: „რუსეთთან ურთიერთობაში მსოფლიოს მეტი ძალისხმევის გამოვლენა სჭირდება“

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა ჟურნალისტებთან საუბრისას აშშ-ში „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტში“ საჯარო გამოსვლის დროს „ლენინგრადის ბლოკადის“ შესახებ გაკეთებული განცხადება განმარტა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მისი გამოსვლა კონტექსტიდან ამოვარდნილი და ორიგინალური ინტერპრეტაციებით გაშუქდა.

ნიუსპრესი

## რა პრინციპით იღებენ დევნილები ბინებს

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „დევნილთა პარტია“ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარს მიმართავს.

როგორც გაერთიანების თავმჯდომარის, ლელა გულედანის მიმართვაშია ნათქვამი, დევნილთა პარტია წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს „ოლიმპიური სოფლის“ ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართის მიღების მსურველთა მიერ სააპლიკაციო ფორმის შევსების შემდგომ გამოქვეყნებულ ქულებთან დაკავშირებით.



– ჩვენთვის ცნობილია, რომ 2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და გრძელვადიანი საცხოვრებლის უზრუნველყოფის მიზნით დაიწყო დევნილთა აპლიკაციის შევსება, რომლის საფუძველზეც სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტმა, დევნილი ოჯახების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მეშვეობით, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, თითოეულ აპლიკანტს წინასწარი ქულა მიანიჭა, რამაც არაერთგვაროვანი აზრი წარმოშვა დევნილ საზოგადოებაში, – აცხადებს ლელა გულედანი.

მისივე ინფორმაციით, თავდაპირველად, 24 ივლისს გამოქვეყნდა ქულები სამინისტროს ვებ-გვერდზე. მეორედ – 17 აგვისტოს კი, ცვლილებები შევიდა აპლიკანტებისთვის მინიჭებულ ქულებში და გამოქვეყნდა ხელახალი კორექტირებული სია.

„მივმართავთ ბატონ სოზარ სუბარს!

რა პრინციპით იცვლება „ოლიმპიურ სოფელში“ ბინის მიღების მსურველთა ქულები 0 ქულიდან 10 ქულამდე, 0 ქულიდან 9 ქულამდე, 0-დან 8,5 ქულამდე, ან როგორ მოხვდა ადამიანი ახალ სიაში, რომელიც ძველ სიაში არ იყო.

ახსნას საჯაროდ ეს გიგანტური ცვლილებები პირადად ბატონმა მინისტრმა! აუხსნას ეს დევნილ ხალხს!“ – აცხადებს ლელა გულედანი.

„დენილთა პარტია“ სამინისტროსგან ითხოვს ახსნა-განმარტებას სიის ცვლილებასთან დაკავშირებით და აღნიშნულის გათვალისწინებით, ბინის მიღების მსურველთა მიმართ კომისიის ძველი და ახალი გადაწყვეტილებების მიწოდებას.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# შსს-მ ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1966 წელს დაბადებული აბესალომ ყ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. სულ ამოღებულია: 3 შეკვრად დაფასოებული, 18,45688 გრ კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 6,04614 გრ ჰეროინს შეიცავს, 9 აბი და 3 ნატეხი, საერთო წონით 4,319 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,3839 გრ მეთადონს (მარილი) შეიცავს, 1 აბი „სუბოქსონი", რომელიც 0,008 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს, ასევე, 0,06662 გრ მეტამფეტამინის (მარილი) შემცველი 0,17977 გრ ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოლოგიური შემოწმებით აბესალომ ყ-ს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

# შსს-ს მაშველებმა და მესაზღვრეებმა თუშეთიდან 620 ტურისტი უვნებლად ჩამოიყვანეს

20 აგვისტოს, ახმეტის რაიონში, ომალო-ლეჩურის გზაზე, მეწყერის ჩამოწოლის შედეგად, ალვანი-ომალოს მონაკვეთზე გზის სავალი ნაწილი ჩაიხერგა, რის გამოც იქ მყოფი ქართველი და უცხოელი ტურისტები ვეღარ ახერხებდნენ ომალოდან დაბრუნებას.



შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის დავალებით, 23 აგვისტოს გამთენიისას დაიწყო სამაშველო ოპერაცია ომალოში ჩარჩენილი ტურისტების დასახმარებლად. სამაშველო ღონისძიებაში ჩართული იყო სასაზღვრო პოლიციის 2 ვერტმფრენი.

სამაშველო ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მღებრიშვილი და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორი ზვიად ქაწაშვილი.

თუშეთის სხვადასხვა სოფლიდან ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ომალოში ჩამოყვანა სასაზღვრო პოლიციის ავტომანქანებით განხორციელდა. მაშველებმა და მესაზღვრეებმა ვერტმფრენით ომალოდან 620 ადამიანი ახმეტის რაიონის სოფელ ფშაველში ჩამოიყვანეს, საიდანაც ისინი მაშველებმა და პოლიციელებმა ავტომობილებით თელავის რაიონში გადაიყვანეს.

სასაზღვრო პოლიციის მეხუთე სამმართველოს (ლაგოდეხი) მეშვიდე სასაზღვრო სექტორის (ომალო) თანამშრომლებმა ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა საკვებით მოამარაგეს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რუსეთს საქართველოს გავლით სირიაში იარაღის გადატანა სურს

## მაისაია: „საქართველოს თანხმობა კაპიტულაცია იქნება"

*გულიკო ბალაძე*

„ახალი თაობა" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ რუსეთი ოჩამჩირიდან ენგურამდე რკინიგზის აღდგენას აპირებს.

სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ფიქრობს, რომ ეს ფაქტი უკავშირდება სირიის კონფლიქტის საკითხებს. რუსეთს სჭირდება, სასწრაფოდ გადაისროლოს შეიარაღება სომხეთსა და ირანში, რომ იქიდან გადაიტანოს სირიაში.

– სარკინიგზო ხაზი ზუგდიდი-თბილისის მიმართულებით საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, მატარებლები დადიან. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი აპირებს ამ რკინიგზის გამოყენებას, – ფიქრობს ექსპერტი.

ამ გზას რუსეთი საქართველოს თანხმობის გარეშე ვერ გამოიყენებს. მაისაიას აზრით, რუსეთი საქართველოს ულტიმატუმს წამოუყენებს და მოსთხოვს, მისცეს საშუალება, სამხედრო შეიარაღება გადაიტანოს სირიაში საქართველოს ტერიტორიის გავლით.

– ეს იქნება პირველი მოთხოვნა. თუ საქართველო ამას არ შეასრულებს, რუსეთი გარკვეულ ზომებს მიმართავს, – ამბობს ექსპერტი.

არსებობს საჰაერო და საზღვაო გზები, რომლებითაც რუსებს შეუძლიათ, იარაღი და სამხედრო ტექნიკა გადაისროლონ, თუნდაც სომხეთში, ირანში და შემდეგ სირიაში, მაგრამ ეს ძვირადღირებული პროექტია და რუსებს არ აწყობთ.



თუ რუსეთმა აღნიშნული იარაღი გაიტანა საქართველოს გავლით, ის მოხმარდება ასადის რეჟიმის პოზიციების გამყარებას.

– იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო-რუსეთს შორის საომარი მდგომარეობაა, სამხედრო შეიარაღების გატარება არის ნონსენსი. რუსეთის სამხედრო შეიარაღების გატარება საქართველოს ტერიტორიაზე კაპიტულაცია იქნება, – ფიქრობს სამხედრო ექსპერტი.

თუ რუსეთმა ულტიმატუმი წამოაყენა, საქართველო რთულ ვითარებაში აღმოჩნდება. როგორ განვითარდება ასეთ შემთხვევაში მოვლენები? ახლა ამის თქმა რთულია, რადგან ვითარება მსოფლიოში სწრაფად იცვლება და რა იქნება ხვალ, არავინ იცის.

# „აფხაზეთიდან მატარებელი ძალით ვერ შემოგვივარდება"

*ნონა ცაბაძე*

რუსეთის მიერ ოჩამჩირიდან ენგურამდე სარკინიგზო ხაზის აღდგენას ექსპერტი გია ხუხაშვილიც გამოეხმაურა.

იგი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით განსაკუთრებული არაფერი ხდება. რკინიგზაზე მუშაობა დაწყებული იყო და ახლა სამუშაოები გრძელდება.

– სოხუმამდე დიდი ხანია აღდგენილი იყო რკინიგზა და მოძრაობაც იყო მატარებლების. როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ მთლიანად მოაწესრიგონ ინფრასტრუქტურა, – ამბობს ექსპერტი.

ის თვლის, რომ შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ აღდგება კომუნიკაცია რკინიგზით აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის.

– ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. შეგვიძლია აღვადგინოთ, ან არ აღვადგინოთ. იქიდან მატარებელი ძალით ვერ შემოგვივარდება. ეს აბსურდია! ვინც ამ რისკებზე ფიქრობს, იმას ტექნიკური საკითხი არ ესმის, რომ ეს შეუძლებელია. სხვა საკითხია, საერთოდ რა პერსპექტივა აქვს ამ საქმეს.

*– ხედავთ რაიმე პერსპექტივას?*

– გასაგებია, რომ მდგომარეობა ძალიან რთულია. არის რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებისა, თუმცა თეორიულად არსებობს პირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ეს საკითხი იყოს განხილვადი.



# საოკუპაციო რეჟიმმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონო საქმიანობა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მიერ სარკინიგზო ჯარების შემოყვანის თაობაზე განცხადებას ავრცელებს.

მასში ნათქვამია, რომ 2015 წლის აგვისტოს დასაწყისში, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ოჩამჩირე-ენგურის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების საბაბით შეიყვანა სარკინიგზო ჯარები.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე დაფიქსირდა რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული ხასიათის ქმედებები. ნიშანდობლივია, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში ინტერვენციამდე, რუსეთმა ასევე უკანონოდ დაიწყო აფხაზეთის რეგიონში რკინიგზის მონაკვეთის აღდგენა და საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ჯარები შემოიყვანა, რაც შემდგომში ეფექტურად გამოიყენა საჯარისო ნაწილებისა და ტექნიკის ტრანსპორტირებისთვის სამხედრო მოქმედებების დროს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს მოსკოვის მორიგ აგრესიულ და პროვოკაციულ ქმედებას და კატეგორიულად მოითხოვს, რომ საოკუპაციო რეჟიმმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული უკანონო საქმიანობა საქართველოს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე მოითხოვს რუსეთის ფედერაციისგან საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემას და ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების შესრულებას და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის უკანონო პოლიტიკას და მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

**მედიანიუსი**

# ხულოში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ხულოში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ შუასოფელში მამაკაცის მკვლელობისთვის ერთი პირი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

სოფელ შუასოფელში გარდაცვლილი მამაკაცი მდინარის პირას სილაში ჩამარხული იპოვეს.

შუა ხნის მამაკაცს 21 აგვისტოდან ეძებდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ქედაში მომხდარ ავტოავარიას ახალგაზრდა ქალი ემსხვერპლა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში, ავტოავარიას ახალგაზრდა ქალი ემსხვერპლა, ერთი არასრულწლოვანი კი მსუბუქად დაშავდა.



არასრულწლოვანი რაიონის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ გაწერეს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევა იმ ადგილას მოხდა, სადაც გარემოვაჭრეები იდგნენ.

**ნიუსპრესი**

# შსს-მ ქურდობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული იური ბ. ქურდობის ბრალდებით თეთრიწყაროს რაიონში დააკავეს.



დაკავებული მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალის მე-12 კილომეტრზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ თანამზრახველთან ერთად, მატარებლის სპილენძის საკონტაქტო სადენსა და გვარლს ე.წ. ტროსს იპარავდა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველების მისვლის შემდეგ, ბრალდებულის თანამზრახველმა პოლიციის მისამართით გასროლა მოახდინა და გაქცევა მოახერხა, ხოლო იური ბ. დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავეს.

სამართალდამცველები თანამზრახველის დაკავების მიზნით, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

პოლიციამ მოპარული სადენები, რომელთა ღირებულება დაახლოებით 7300 ლარს შეადგენს, შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე იარაღის შემოტანის მცდელობის ფაქტები გამოვლინდა

საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მებაჟე ოფიცრებმა იარაღის შემოტანის რამდენიმე მცდელობა გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, სგპ „სარფის" კონტროლის ზონაში თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოსულ თურქეთის მოქალაქე ჰ.ტ.-ს კუთვნილი ავტომანქანის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე ოფიცრებმა 50 ცალი პარაბელუმის სისტემის 9 მმ-იანი საბრძოლო ვაზნა აღმოაჩინეს.

აღნიშნული საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით, საქართველოს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

მებაჟე ოფიცრებმა ანალოგიური კანონდარღვევა სგპ „ვალეს" ტერიტორიაზეც გამოავლინეს.

თურქეთის მოქალაქე ჰ.ა.-ის კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერების შედეგად, მათ აირის ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ცარიელი მჭიდი და 100 ვაზნა აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირებისათვის, შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

**ნიუსპრესი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ პაპუნიძის სულის ღაღადისი

დაიბადა 1930 წლის 25 აგვისტოს, ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში, საზოგადოებაში დაწინაურებულ რაფიელ პაპუნიძისა და მერი საკანდელიძე-პაპუნიძის მრავალშვილიან ოჯახში.

1948 წელს დაამთავრა ქედის რაიონის სახელმწიფო პედსასწავლებელი. 1954 წელს – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი წარჩინებით. იმავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში და მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში მეცნიერ-მუშაკად.

1956 წელს იგი გადაყვანილ იქნა საქართველოს მიწადმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1958 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო1969 წელს – სადოქტორო დისერტაციები. 1971 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1966-73 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტში, ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ. 1973 წელს იგი დაწინაურებულ იქნა საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1974 წელს აირჩიეს საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1975 წლის 6 იანვარს კი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და იმუშავა 1986 წლამდე. 1986 წელს კვლავ გადაყვანილი იქნა თბილისში საქ.სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა.

ვ.პაპუნიძე არჩეული იყო საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად, აჭარისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

**... რამდენი უძილო ღამე, ერზე ფიქრი, კვლევა, ანალიზი, დაგეგმვა, შრომა, აღიარება, ჯილდოები: შრომის წითელი დროშის ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი და სხვადასხვა მედალი. და ჯილდოთა შორის უპირველესი – მშობლიური ხალხის გულწრფელი სიყვარული!**

ყველა ეპოქაში ადამიანი საქმის სიყვარულით ფასდება. და, თუ ის საქმე ეროვნულია, მაშასადამე იგი ერის საქმის ერთგულია, ერის კაცია! ერისკაცები კი არასოდეს კვდებიან. სხვადასხვა ასაკში ერისკაცი შეიძლება გარდაიცვალოს, მაგრამ ის მაინც ერშივე რჩება საქმით, სახელით, სულით, შთამომავლობით, ხორცით და სისხლით. მას უკვდავება ჰქვია. სწორედ ასეთი გახლდათ ბატონი ვახტანგ პაპუნიძე,როგორც უკვდავი და დღეს მარადისობაში მყოფი.**ვახტანგ პაპუნიძე, ჩემი ცნობიერებით, ბოლო 50 წლის განმავლობაში მაღალ პოლიტიკურ ელიტაში ის კაცია, რომელმაც საკუთარ ოჯახზე, გვარზე და სამეგობრო-საძმაკაცოზე მაღლა ერის დიდება და მშობლიური ხალხის მატერიალური უზრუნველყოფა დააყენა. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. და რადგან იგი რჩეული იყო, მას როგორც დიდი ვახტანგის, დავითის, თამარის, ცოტნესა და გენიალური სოსოს გენობრივ მემკვიდრეს – სხვა გზა არ ქონდა! ამიტომაა ჩემთვის ბატონი ვახტანგ პაპუნიძე ერის სიკეთისათვის მსხვერპლად შეწირული და ჩაუქრობელ კელაპტრად ანთებული სხივმოსილი ნათება, როგორც ერთგულების, შრომის, სიყვარულის, მიმტევებლობისა და მარადისობაში კაცურად შესვლის სიმბოლო!** ჩვენ, ყველა ვალდებული ვართ სანთელი ავუნთოთ და მისი სადღეგრძელო ვთქვათ 25 აგვისტოს, რათა მოვისმინოთ მისივე უკვდავი სულის ღაღადისი – დღევანდელი რთული ცხოვრების შესამსუბუქებლად.

ბატონი ვახტანგ პაპუნიძე მეოცე საუკუნის ქართველი ერის ღირსეულ შვილთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია. იგი დედა-აჭარამ შვა, რომელიც ერთგულად ემსახურა სრულიად საქართველოს. მისთვის გაიღო ყველაფერი, ლოდებიდან მრავალიგზის გათალა ჩუქურთმებიანი სამშენებლო ქვები და სათაყვანებელი სამშობლოს მშენებლობის გალავანს უსახსოვრა. იგი ოფლად დაიღვარა, შეიქმნა საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალი და იგი საკუთარ ერს, აჭარის ხალხს, მოსახლეობის მომავალსა და მეცნიერებას მოახმარა. მან თავისი ყოფიერებით საკუთარი თავი აჩუქა სამშობლოს, შუბლგახსნილი ღიმილით კი სიმშვიდე მიანიჭა ყველა მშრომელს, გლეხსა და მეგობარს, შთამომავლობას.

**ბატონი ვახტანგ პაპუნიძე იმითაცაა გამორჩეული, რომ მან სასწაული მოახდინა და წაშალა სოციალური უთანაბრობის ზღვარი მაღალ შემოსავლიან ზღვისპირა აჭარის მოსახლეობასა და დაბალშემოსავლიან მთიან აჭარას შორის. მან ეზო-ეზო, კარდაკარ შემოიარა ზემო აჭარა და მოისმინა მოსახლეობის სატკივარი. სოციალურეკონომიკური გეგმა შეიმუშავა. ყველა გაჭირვებულს კომპეტენციის ფარგლებში თავად დაეხმარა, ნაწილისათვის დახმარება თბილისს სთხოვა, ნაწილის სატკივარი კი თავად ჩაიტანა მოსკოვში და როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სესიაზე გაახმოვანა... მას უარს ვინ ეტყოდა, თვალებში შესციცინებდნენ. სესიაზე მისგან ყოველთვის ახალს, ნოვატორულს ელოდნენ; რესტორან „რასიაში" კი კაცობის, ეროვნული ტრადიციებისა და ბიბლიური ფასეულობების სადიდებელ სადღეგრძელოებს.** კარგად მახსოვს, მოსკოვში ყოველწლიური საგეგმო და საბიუჯეტო მაჩვენებლების დამტკიცებისას, უკრაინელმა ყირიმის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დამატებითი ფინანსური სახსრები მოითხოვეს. ერთ-ერთი არგუმენტი სიმფეროპოლ-იალტის 86 კმ-იანი სატროლეიბუსო ხაზისა და გზის განათების დაფინანსება იყო. ბატონმა ვახტანგმა იმავე დღეს „გოსპლანს" ქართული ვარიანტიც წარუდგინა, მაგ მხრივ საქართველოს აჭარა მე-2 ადგილზეაო: ქობულეთის ხაზი 15 კმ-იანია და სამი მილიონი მანეთი მოითხოვა ( მაშინ ერთი მანეთი 1,16 აშშ დოლარს უდრიდა). საკითხი იმავე დღეს გადაწყდა დადებითად. „მოსკოველები" დაარწმუნა და ზემო აჭარის სატკივარი რამოდენიმე თვეში გადაწყვიტა. მან მთიან აჭარაში საქონლის ჩაბარებისა და ხორცის დამზადების პუნქტები გახსნა. ხულოელ გლეხს მოეხსნა საქონლის ბათუმში ჩაყვანა-ჩაბარების პრობლემა. გარდა იმისა, რომ საქონელი ტრანსპორტირებისას წონაში 5-7 %-ით იკლებდა, გლეხი 2-3 დღესაც კარგავდა. გლეხს სტიმული მიეცა და იმატა მესაქონლეობის განვითარებისა და ხორცის დამზადების ტემპმა. ანალოგიური ღონისძიებები გაატარა თხილის, თამბაქოს, ყველ-კარაქის და ბოსტნეულის დამზადება-ჩაბარების საქმეში. აალორძინა ტრადიციული ქსოვითი (თექა, გობელენი, წინდები, ჯუბა და ა.შ) საქმე. ყველა სოფელში გაიყვანა სამანქანო შარაგზა. მისი დამსახურებაა ბათუმ-ახალციხის ტრასის დიდი მშენებლობა. იგი დღენიადაგ ზრუნავდა ტურიზმის განვითარებაზეც. კომუნისტური დიქტატის ეპოქაში მისი ხელშეწყობით აჭარელი მეციტრუსეები „გაკეთდნენ". ქობულეთელმა (ხუცუბნელმა) ზია ბერიძემ 32 ტონა მანდარინი გაყიდა რუსეთის ბაზარზე და ოჯახის ბიუჯეტი 4 მანქანის შესაძენი ფულით შეავსო. იმავე ოდენობით შემოსავალი მიიღო ხულოელმა ჰუსეინ ბოლქვაძემ ადგილზევე – საქონლის, თამბაქოსა და ფარდაგების რეალიზაციით. ეს იყო ვახტანგისეული გმირული რეფორმები. იგი რეფორმატორრად იქცა, მასზე ალაპარაკდნენ თბილისში, მოსკოვში, პრაღასა და ვარშავაში. მან რეფორმები თავის გუნდთან ერთად გაატარა.

ბატონი ვახტანგი იყო შემოქმედი, მებრძოლი, შორსმხედველი, ერის მოამაგე, გლეხკაცის მეგობარი და მასზე მზრუნველი, უდიდესი დემოკრატი და ამავე დროს, უდიდესი მიმტევებელიც. მახსოვს, 1982 წლის ზაფხულში, ქვეყნის სახლმწიფო ბიუჯეტის მოსკოვში დაცვისას, სასტუმრო „მოსკოვის" ფოიეში შევხვდი, ნერვიულობდა: მითხრა, საოცარი რამ მოხდაო, სასტუმროში მცხოვრებ ერთ ქართველ კაცს აზერბაიჯანის ერთ-ერთი მინისტრის მოადგილისათვის ფოიეში დაგებული უდიდესი ხალიჩა მიუყიდიაო იაფად!!! მასაც მუშები მოუყვანია, აახვიეს თურმე ხალიჩა და გასასვლელში დიდი ამბები ატეხილა. „გამყიდველს" ველარ პოულობენო. როგორ შეიძლება ქართველმა ასეთი რამ იკადროსო. მე ვუთხარი, რა მოხდა ბატონო ვახტანგ, ნახევარი ციმბირი დღეს მეგრულად ლაპარაკობს-მეთქი. გულიანად გაიცინა. ვუთხარი, კვირა დღეა და სადილზე გეპატიჟებით-თქო. იგი ადმინისტრატორთან მივიდა და საკავშირო პროფ. საბჭოს თავმჯდომარეს პროხოროვს დაურეკა. 15 წუთში მისმა მძღოლმა, ვიქტორ საბდატოვმა სამთავრობო „ჩაიკით" მოგვაკითხა. სატელევიზიო ანძა „ოსტანკინოზე" ყოველგვარი რიგის გარეშე აგვიყვანა, როგორც მისი შეფის ფრანგი სტუმრები. მეშვიდე ცაზე ბრინჯაოს დარბაზში დავსხედით. ქართული ღვინო მოითხოვა. როცა „ოჯალეშით" შევუვსე ბოკალი, ასწია და თქვა: „ახლა ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ ღმერთთან, დიდება მას, გაუმარჯოს ჩვენ სამშობლოს და გაგვიმარჯოს ჩვენ, ქართველებს მოსკოვში!" მე მოკლედ დავეთანხმე, გაუმარჯოს მეთქი და ვკითხე, ჩვენ რა, თბილისში ქართველები არ ვართ მეთქი? მითხრა, თბილისში აჭარელს მეძახიან, ბათუმში ქედელს, ქედაში კი ზენდიდელს. მას შემდეგ ბევრი მიფიქრია, ვახტანგ პაპუნიძე ერთდროულად იყო თბილისელიც, ბათუმელიც, ქედელიც და ზენდიდელიც. ამ ოთხივე კუთხის ადათ-წესების ღირსეული მატარებელი იყო. ტრადიციათა მთელ საუნჯეს ფლობდა.



ვახტანგ პაპუნიძე – 85

ერთ-ერთი სადღეგრძელოს დროს დაბადების კუთხეზე მკითხა. ჩემი პასუხის შემდეგ თქვა: „ჯავახეთი საქართველოს ულამაზესი ზეგანია და ამიტომ დავთანხმდი აჭარელთა ჩასახლებაზე, მაგრამ იქ აჭარლებს ძალიან დიდი ყურადღება და დახმარება სჭირდებათ. დღეს ჯავახები და აჭარლები ვალში ვართ ცოტნე დადიანის სულთან, მისი ძეგლის აღმართვა გვმართებს!"-ო.

ბატონმა ვახტანგმა ნაადრევად დაგმო კომუნისტური დიქტატი, არაკოლეგიალურობა, სიცრუე და ღალატი. მან პატიოსნებისა და კაცური ღირსების სიმბოლოდ გადადო საკუთარი თავი. **მივცემ ჩემს თავს უფლებას და მისი ცხოვრების ბოლო წუთებს, სელიმ ხიმშიაშვილისას შევადარებ: ერთმა დედა-აჭარისათვის დადო თავი, მეორემ კი აჭარელი კაცის ღირსებისათვის.**

**დღეს რომ ვახტანგ პაპუნიძე ცოცხალი ყოფილიყო, სტამბოლს წავიდოდა სულთნის სასაფლაოზე, სელიმის თავს მოძებნიდა და ბაკოში დაკრძალულ ტანთან ერთად, თბილისში, მთაწმინდაზე გადაასვენებდა!**

ვახტანგ პაპუნიძემ მარადისობის კარი თბილისში ყოფნისას 1987 წლის დამდეგს შეაღო. მისი სხეული გონიოსა და ხიხანის ციხეებს შორის, მამაპაპურ ქართულ მიწას ეზიარა, მომავალი თაობების ფესთვსაკმეველად. სული ზეცაში ამაღლდა და ქრისტეს კარიბჭის (ანუ ქედა-ს: „ქე"– ქრისტე, „და" (მაღლა თაღით) ანბანის მე-40 ასონიშანი) მანათობელ ვარსკვლავად იქცა. ამქვეყნიურ ცხოვრებაში უკვდავმა ვახტანგმა დაგვიტოვა ერის ტრადიციებითა და ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრების ღირსეული კაცის სახელი. სახელი, რომელსაც თითოეულმა ჩვენთაგანმა პატივი უნდა მივაგოთ!

წინამდებარე წერილიც პატივცემული ვახტანგისადმი მიძღვნილი დიდი წიგნის პირველი გვერდია საქართველოში და მათ შორის, აჭარაში მცხოვრებ ყველაზე მრავალრიცხოვან ბერიძეთა გვარის მატარებელთაგან.

მადლობა უფალს, რომ საქართველოში კაცნი არ კვდებიან! ბედნიერებაა, რომ დღეს ხიხანის ციხეს ხიმშიაშვილის ვარსკვლავი დაჰკაშკაშებს, ქედის კარიბჭეს – პაპუნიძის, მახინჯაურს-ბერიძის, ბათუმს-აბაშიძის, ბაგრატიონის, ბოლქვაძის, გოგიტიძის, ქარცივაძის და მრავალ ჩვენთაგანის გვარის. **ამიტომაა აჭარა მზიური, ხალხი კი – თბილი და გასხივოსნებული. აჭარაში გაღმა და გამოღმა არ არსებობს, რამეთუ თამარის ხიდებს დაუძლევიათ თქეშთა თქრიალი! აჭარა ამოუცნობი სამყაროა, მსოფლიოს თვალ-მარგალიტი ალაგია, ქრისტეს სალოცავი სახლია. ყველამ უნდა იცოდეს, რომ გონიო-ახალი ათონი-თბილისის სიონი – სამი წმინდა მოციქულის ალაგია და ამ სამკუთხედს ვერავინ დაშლის. ამიტომაა, რომ ყველა ქართველი ძლიერი და თავდადებული.** არიან სარეველებიც, იუდას მიმდევრები...

მართლმადიდებლური ეკლესია გვასწავლის, რომ ამ ქვეყნიური ცხოვრება გამოცდაა მხოლოდ, არჩევანი სიკეთესა და სიბილწეს შორის. დღეს ადამიანი ან ქრისტეს ანგელოზის მიმდევარია, ან სატანის მსახური. ბატონი ვახტანგი წმიდა მცნებებით იყო გასხივოსნებული.

**საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი – ბერიძეები, პატივს მივაგებთ მარადისობაში მყოფ ბატონ ვახტანგ პაპუნიძის სულს, ამქვეყნიურ მის ღვაწლს და ამაგს, სახელსა და ღირსებას, მის შთამომავლობასა და გვარს. ჩვენ მასში ღირსებათა შარავანდედს ვხედავთ. ჩვენ არ გვჩვევია ადამიანის შემოქმედებაში ფერმკრთალი წერტილების ძებნა! ვახტანგი კაცთა ღირსების სიმბოლოა!**

ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი – ილია II გვასწავლის: თუ რწმენით აღვსილმა შთამომავლობა დაგვიტოვა, ე.ი. მისი სისხლი კვლავ ჩქეფს, ხორცი კი ხარობსო. ბატონმა ვახტანგმა მთელი მოდგმა დატოვა, მაშასადამე ვახტანგი ცოცხლობს! მის შთამომავალ ყველა მამრთაგან – ჩემთვის ყველა ვახტანგია, ქალთაგან კი თამარი, მარიამი და ქეთევანი.

ამ წერილის ავტორმა რამდენიმე ცნობილ ადამიანს ვთხოვე მოსაზრება ბატონ ვახტანგზე:

**ავთანდილ ბერიძე** (აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე): „ძალზე დიდია ბატონ ვახტანგ პაპუნიძის ღვაწლი აჭარისა და აჭარის მოსახლეობის ცხოვრებაში. დიდება მის სულს მარადისობაში!"

**მთავარეპისკოპოსი სპირიდონი** (სხალთის ეპარქია): „კარგად ვიცნობ აჭარასა და განსაკუთრებით ზემო აჭარას, მის თითოეულ ოჯახს. საოცრად უყვართ ვახტანგ პაპუნიძის ხსენება. მასზე მადლიერებით ლაპარაკობენ"

**ნოდარ ჭითანავა** (ერის გამორჩეული კაცი): „ ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. მისი მუდმივი ფიქრი აჭარა და საქართველო იყო. შეუფასებელია მისი ღვაწლი".

**აკაკი ბერიძე** (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი): „ბატონი ვახტანგ პაპუნიძე გარდა იმისა, რომ შრომის ნოვატორი იყო, იგი იმავდროულად მეგობრობის სიმბოლოც გახლდათ".

**რუსლან აუშევი** (ინგუშეთის ყოფ. პრეზიდენტი, ავღნეთის ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი): „ერთ-ერთი შეხვედრისას მისაყვედურა, რატომ ომობთ ავღანეთშიო, მოვა დრო და ამ ნაბიჯს ვინანებთო. ის წინასწარმეტყველიც აღმოჩნდა".

**თურგაი ჯინერი** (მულტიმილიონერი, სტამბოლი): „მოგზაურობაში გავიცანი, მისგან გავიგე ქართველი კაცის ამქვეყნიური ყოფიერების დანიშნულება".

**თამაზ გოგოტიძე** (ბათუმის მერიის დამსახურებული მუშაკი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი): „ვახტანგ პაპუნიძე მე-20 საუკუნის აჭარის აღმაშენებელია".

**დავით დუმბაძე** (ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელი): „აჭარის მოსახლეობამ ყოველდღე სანთელი უნდა დაუნთოს ვახტანგ პაპუნიძეს".

**ეთერ ბერიძე** (მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესმენი): „ბატონ ვახტანგის შთაგონებით ორი წელი ვიკვლევდი ნიგალი ხეობას. გამოკვლევა წიგნად გამოვეცი და ვუტოვებ ჩემს საყვარელ აჭარასა და სრულიად საქართველოს".

**ტარიელ ებრალიძე** (შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი): „ვახტანგ პაპუნიძის სამსახურეობრივი შემოქმედება – ნათელი გზაა ჩვენი ახალგაზრდებისათვის".

**ბესიკ ბაუჩაძე** (ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი): „ხულოში დღესაც ახსოვთ და უყვართ ბატონი ვახტანგი. ძალზე მადლიერნი არიან მისით".

**შალვა ველიაძე** (ისტორიკოსი, ჟურნალ „ლაკლაკეთის" გამომცემელი): „ვახტანგ პაპუნიძე სელიმ ხიმშიაშვილის სულიერი მემკვიდრე და ბაკი-ბაკოს მირონცხებულია".

**ფრიდონ ხალვაში** (1998 წლის 5 იანვარი, ანკარა): „ჩემო ვაჟა, ბატონი ვახტანგი აჭარაში შრომისა და შემოქმედების ეთნარქი გახლდათ. მან მთელი მისი შეგნებული ცხოვრება აჭარასა და საქართველოს მიუძღვნა. ვახტანგ პაპუნიძე – ზღვისა და ხმელეთის რაინდია".

...და ამდენი შეფასებების შემდეგ ვინ ბრძანდებით თქვენ, ბატონო ვახტანგ?

**ვახტანგ პაპუნიძე მარადისობიდან:**

**„მე ერთი პატარა უჯრედი ვიყავ, ერთიანი, ლამაზი და წმინდა ქართული სხეულისა. ჟამთასვლისას გამოვედი და ჩემს ადგილას 12 დავტოვე. მალე თორმეტი ათასი იქნება. დღეს მხოლოდ პატარა ნათება ვარ. დილის 4 საათზე გამოვჩნდები ცის კაბადონზე ხიხანის ციხის თავზე, გადავუვლი ჩემს ქედას – ქრისტეს კარიბჭეს, ბათუმს და თბილისს მივემართები, ვუერთდები ერთიან ვარსკვლავთა სამყაროს! ძალზე ლამაზი და თვალწარმტაცია საქართველო, მაგრამ დაქუცმაცებული და ბევრი სხვა ნარ-ეკალა ხალხით გავსებული. მას მაინც ოქროს სარტყელი აკრავს, თამარის დროინდელი საქართველოს საზღვრებად. იგი დაცულია ღვთისმშობლის ლოცვითი კალთით და უფლის მადლი აცხია!**

**ახლა მარადისობაშიც დიდი ცვლილებები ხდება... ნუ დაკარგავთ დროს, მალე განსჯა დაიწყება! მიწიერი ცხოვრების უბედურება ისაა, რომ ადამიანს მხოლოდ დაბადებისას წონიან. მას შემდეგ მისი „აწონა": შეფასება, დაფასება და პატივმიგება აღარ ხდება. ადამიანის სულიერება დაკნინებულია. რომ გაიძახით საქართველო გაბრწყინდებაო და გულხელდაკრეფილი ელოდებით ასე არ ვარგა. საქართველოს გაბრწყინება მაშინ დაიწყება, ურთიერთში სულიერებას პატივს რომ მიაგებთ, გაერთიანდებით, ერთ მუშტად შეიკრებით და უფალს ერთად შესთხოვთ თქვენს მომავალ ბედს. ამას ელოდება უფალი თქვენგან. ნუ გახდებით სატანის მსახურნი, უხმეთ თქვენსავე ანგელოზებს და მისდიეთ მათ. ბოლო კეთილია! შედეგი და დრო თქვენზეა დამოკიდებული. რუსეთის უპირველესი წმინდანი – სერაფიმ საროველი ძალზე წუხს: ორი საუკუნის წინ გავაფრთხილე რუსები ქართველებს არ აწყენინოთ, უფალი დაგსჯით-მეთქი; სხვა ქვეყნის წმინდანებიც წუხან, ტყუილად წავართვით ქართველებს მიწებიო... ამერიკელებს წმინდანი არა ჰყავთ. თითოეული ქართველის საქართველოდან ახლა გასვლა და უცხოეთში ცხოვრება ღალატის ტოლფასია. ქართველები არც ევროპელები და არც აზიელებია. ქართული კულტურა აზიისა და ევროპის ხალხთა კულტურის სიმბიოზია!**

**აქ ყველა წმინდანი თქვენზე და საქართველოზე ლოცულობს! იქნებ თქვენც ილოცოთ საკუთარი შთამომავლობისა და სამშობლოსათვის...**

მუხლმოყრილი ქედს ვიხრი ბატონი ვახტანგის სულის წინაშე, ვუნთებ სანთელს და სანთლისფერივე ქედის ღვინით ვილოცები: შენ გაგიმარჯოს ბატონო ვახტანგ! დიდება შენს ნამოღვაწარს! სიკეთე და დღეგრძელობა შენს შთამომავლობას, გვარს, აჭარასა და სრულიად საქართველოს! ამინ!

**ვაჟა ბერიძე** – ბერიძეთა საგვარეულოთა დარბაზის ეთნარქი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აჭარაზე გულწრფელად შეყვარებული რიგითი თბილისელი, ტელ: 599 33 53 60

# საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს! ქ.თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას! ტელეკომპანია GDS, საზოგადოებრივ ტელევიზიას

ბატონებო, ნამდვილად არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ იმ სიტუაციიდან და რეალობიდან გამომდინარე, რა მდგომარეობაშიც ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური გვაგდებს, სხვა გამოსავალი არ გვრჩება...

ბატონო პრემიერო, ბატონო მერო, მოგახსენებთ, რომ ა/წ-ის 08 ივლისს, ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა ბრძანება №1997370, ქ.თბილისში, შატბერაშვილის ქუჩის II შესახვევი №2-ში მდებარე ტერიტორიაზე (ს.კ.01.14.11.059.054) IV კლასის (მაღალი რისკის შემცველი) შენობის პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვასთან ერთად. ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიის მაცხოვრებლები, რომლებსაც ასაშენებელი შენობა აყენებს უშუალო, პირდაპირ და თვალხილულ ზიანს (ისევე, როგორც ზარალს) პროექტის დამტკიცებამდე არქიტექტურის სამსახურიდან სისტემატიურად მოვითხოვდით პროექტის განხილვის პროცესში ჩართვას. ჩვენი კანონიერი მოთხოვნა არქიტექტურის სამსახურის მიერ იგნორირებული იქნა, რაც წარმოადგენს ჩვენი, როგორც მოქალაქეთა სასიცოცხლო ინტერესების უხეშ და განზრახ იგნორირებას, რაც სამართლებრივად დაუშვებელია. ამგვარი იგნორირების შედეგად არქიტექტურის სამსახურმა გასცა მშენებლობის ნებართვა, ისეთი პროექტის საფუძველზე, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული იგნორირების ნათელი მაგალითია. არქიტექტურის სამსახურის მხრიდან აშკარაა ჩვენი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლების ხელყოფა, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის უხეში დარღვევა, რომელიც იცავს ჩვენს უფლებას საცხოვრებელზე.

ჩვენმა არაერთგზის მცდელობამ უშუალო, გონივრული, ლოგიკური ან სამართლებრივი განმარტება მიგვეღო არქიტექტურის სამსახურიდან, შედეგი არ გამოიღო.

აღნიშნულმა გვაიძულა მივმართოთ სამართალდამცავ ორგანოებს, პარალელურად კი გვსურს საქმის კურსში (ღია წერილით) ჩაგაყენოთ თქვენც, ბატონებო, რათა კონტროლზე აიყვანოთ არსებითი საკითხი, რითაც ჩვენი და ჩვენი ოჯახების უსაფრთხოებაც იქნება დაცული მათგან, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სახლების უშუალოდ მიჯნაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებით...

ბატონო მერო, არქიტექტურის სამსახურის ქმედებამ საოცრად გაგვაოცა. ნუთუ ამდენად არაკომპეტენტური ადამიანებით არის დაკომპლექტებული თბილისის არქიტექტურის სამსახური?! შესაძლებელია ყველაფერში ძალიანაც კარგად ერკვევიან, მაგრამ ეწევიან ძალადობას ადამიანების მიწასთან გასწორების და დისკრიმინაციის ხარჯზე. ჩვენი ქვეყნის და ქ.თბილისის მაცხოვრებლებს თვალში ნაცარს აყრიან და უკანონობაზე კანონის სახელით ელაპარაკებიან. ორივე შემთხვევაში პასუხს ვითხოვთ ქ-ნ ნინო ღოლობერიძისგან... მისი სამსახური გვწერს, რომ „ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით" (ბრძ. №1997370).

გავეცანით შპს „ჯორჯთაუნის" (მშენებარე კომპანიის) არქიტექტორის კონსტანტინე გიორგაძის პროექტს (პროფესიონალ არქიტექტორებთან და კონსტრუქტორებთან ერთად) და აღმოჩნდა, რომ საძირკვლის გათხრა უნდა მოხდეს პირდაპირ ჩვენი სახლების საძირკვლის გასწვრივ, ყოველგვარი (კანონით გათვალისწინებული) მინიმალური 3მ-იანი საზღვრის დაცვის გარეშე, რეალურად ზედ ჩვენი სახლების საძირკველზე აპირებენ ქვაბულის გათხრას. საინტერესოა, ქ-ნი ნინო ღოლობერიძე რამ ან ვინ გახადა იძულებული, ხელი მოეწერა მომავალი მშენებლობის, პირდაპირ მიჯნაზე არსებული სახლების საძირკვლის დაზიანებასა და დანგრევაზე?! რასაც, სამწუხაროდ, არქიტექტურის სამსახური „კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვას" ეძახის. მართალია, ქალაქში უნდა მოხდეს განაშენიანება, არქიტექტურული თვალსაზრისითაც გალამაზება, მაგრამ რის ხარჯზე?! როდესაც სახელმწიფოებრივად აუცილებელი სტრატეგიული მშენებლობები ხორციელდება, შეიძლება მოხდეს ასეთი ბრძანების გაცემა, მაგრამ იქაც მოსახლეობისა და კერძო სტრუქტურის ინტერესები დაცულია და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ადამიანები არ დაზარალდნენ. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როგორც ჩანს, ვერანაირი სახელმწიფოებრივი და კერძო სტრუქტურის ინტერესები ვერ შეედრება „ჯორჯთაუნის" წარმომადგენლის, მშენებლობის დამკვეთის (ბოდიშს გიხდით, არ ვიცით ვინ ბრძანდება) ოლღა ბერაძის ინტერესებს (პ/ნ 02019006365), რომელმაც არ ინება მოსახლეობასთან შეხვედრა, გაცნობა და მის მსგავსად არქიტექტურის სამსახურმაც არ ინება ადგილზე მოსვლა და არსებული სიტუაციის შესწავლა. მათ, როგორც ჩანს, არც წინაპრების ბრძნული გამონათქვამი ახსოვთ „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი", პირდაპირ გაჭრაზე და დანგრევაზე აწერენ ხელს... საინტერესოა, ვინ არის ოლღა ბერაძე, რომელიც მრავალბინიან 25,5 სიმაღლის სახლს აშენებს და საძირკვლის (ქვაბულის) გათხრას, პირდაპირ ჩვენი სახლების საძირკველზე აპირებს, ფანჯრებში გვივარდება და ნებართვას არქიტექტურის სამსახურიდან იღებს, რომ ჩვენი სახლების ამორტიზირება და ნგრევა განახორციელოს. შესაძლებელია სამომავლოდ ჩვენს ეზოებზეც უჭირავს თვალი და მის მიერ დანგრეული ჩვენი სახლები ალბათ ჩალის ფასად უნდა წაგვართვას და ისე დაგვტოვოს ღია ცის ქვეშ დაზარალებულები და განადგურებულნი. საინტერესოა, ქალბატონი ოლღა ბერაძე, არქიტექტორი კონსტანტინე გიორგაძე და ქ-ნი ნინო ღოლობერიძე მათი საცხოვრებელი სახლების მიჯნაზე (ერთ საძირკველზე) მშენებლობის ნებართვას მისცემენ ვინმეს, თავიანთი სახლების დანგრევის ფასად?!

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ფორმულა $H=L/Y$, სადაც $L$ არის მომიჯნავე ქუჩის (კონკრეტულ შემთხვევაში შატბერაშვილის ქუჩის II შესახვევის და არა ჩიხის) სიგანის ნახევარი, რომელსაც ემატება ამ ნახევრიდან ასაშენებელ სახლამდე მანძილი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში 4,70 მეტრს შეადგენს, რის შედეგადაც ამ ფორმულის მიხედვით სახლის მაქსიმალური სიმაღლე შეიძლება იყოს $L=4{,}70/0{,}4=11{,}75$ მეტრი... მოეთხოვოს ქალბატონ ნინო ღოლობერიძეს, რომელი ნორმის საფუძველზე მოხდა სახლის სიმაღლის გაზრდა 11.75 მეტრიდან 25.5 მეტრამდე?! ჩვენ ვთხოვეთ არქიტექტურის სამსახურს, რა მიზნით და რომელი ლოგიკით იქნა გაზრდილი სახლის სიმაღლე თითქმის 2-ჯერ, მაგრამ ვერანაირი ლოგიკური პასუხი ვერ მივიღეთ.

ბატონო ირაკლი, ბატონო დავით, თქვენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ერთხელ მაინც თუ დაინტერესდებით და მარაბდისა და შატბერაშვილის ქუჩებზე ამოივლით და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრებით, მიხვდებით, რომ სამშენებლო კომპანიებმა არაერთი ოჯახი დააზარალეს თავიანთი მშენებლობებით. ზოგს სახლის კედლები დაუნგრიეს, ზოგ მიწის მესაკუთრეებს დაპირებული დუპლექსის ნაცვლად საცხოვრებლად სარდაფი მიუგდეს და ა.შ. მათ არც სასამართლოებში სირბილმა უშველა და არც სხვადასხვა ინსტანციებში სიარულმა, ისე ემსხვერპლნენ მათ ვერაგობას.... მაგრამ, როგორც ჩანს, არქიტექტურის სამსახურისთვის ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს. არქიტექტურის სამსახურისთვის მთავარია ოლღა ბერაძე არ დარჩეს დაზარალებული, უფრო სწორად, მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური ხარჯის სანაცვლოდ. და, რაც მთავარია, მის მოგებას აქვს სერიოზული მნიშვნელობა არქიტექტურის სამსახურისთვის, თორემ ზემო ვაკეში (III საცხ.ზონა) ვის აძლევენ 650 კვ.მ. მიწის ფართზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს 3.2... იქ, სადაც რეალურად გზა არ არის და ძირითადი გზა იმდენად ვიწრო ჩიხია, მსუბუქ ავტომანქანასაც კი უჭირს გავლა. ასეთი კოეფიციენტის გაცემა რატომ და რისთვის უნდა მომხდარიყო?! ფაქტია, რომ ოლღა ბერაძე ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის და იგი განსაკუთრებით კერძო პრივილეგიებით სარგებლობს...

თვალშისაცემია, კონსტრუქტორების თ. მშველიძის და მ. დუმბაძის დასკვნა, რომლებიც წერენ, რომ სამშენებლო ობიექტზე „არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი მშენებლობა ზეგავლენას არ იქონიებს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობებზე. აქედან გამომდინარე, კონსტრუქციული დასკვნა საჭირო არ არის"... როგორც ჩანს, ამ „დოკუმენტის" საფუძველზე არქიტექტურის სამსახურმა ერთპიროვნულად გასცა ბრძანება №1997370, კანონდარღვევით დაუმტკიცა პროექტი და მისცა მშენებლობის ნებართვა „ჯორჯთაუნს". საპირისპიროდ გთავაზობთ ფრაგმენტს იგივე ობიექტზე არსებული მშენებლობის შესახებ, რაც წერს ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო „მომიჯნავედ მიმდებარე მშენებლობიდან, სამუშაოთა წარმოების პროცესში გამოწვეულმა ვიბრაციებმა შესაძლოა საკვლევ შენობაზე არსებული დეფორმაციის გაზრდა გამოიწვიოს... ქ.თბილისში მარაბდის №15-ში მდებარე სახლის საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დეფორმაცია მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შეესაბამება I-II ხარისხს. ასეთ ხარისხში დაზიანებული შენობები შემდგომში ექსპლუატაციისთვის ვარგისია, მაგრამ საჭიროებენ დაკვირვებას. მომიჯნავედ მიმდინარე მშენებლობიდან, სამუშაოთა წარმოების პროცესში გამოწვეულმა ვიბრაციებმა შესაძლოა საკვლევ შენობაზე არსებული დეფორმაციის გაზრდა გამოიწვიოს"... თ. მშველიძის და მ. დუმბაძის მიერ გაცემული და სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან... არანაირად არ არის დაინტერესებული არქიტექტურის სამსახური, თუ რას წერს სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი.

ბატონო ირაკლი, ბატონო დავით, „მადლობას ვუხდით" არქიტექტურის სამსახურს, სასამართლოს მისამართი რომ მოგვწერეს, მაგრამ სანამ ამ „სანატრელ" გზას დავადგებით, პირადად ვითხოვთ (ბატონო დავით, თქვენი სამსახურის ზედამხედველობით) არქიტექტურის სამსახურიდან გარანტიას იმისას, რომ მათი გაცემული ბრძანების შედეგად დაწყებული მშენებლობით არ დავზარალდებით. გვაინტერესებს, ვინ იღებს პასუხისმგებლობას ჩვენ მიმართ მოყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, თუ ისე ბრმად აწერენ ხელს, რომ შედეგზე არ ფიქრობენ და არც „კანონი" ავალდებულებთ, რომ იფიქრონ?!

კარგად მოგეხსენებათ, რომ სასამართლოში სიარული არცთუ ისე დიდი სიამოვნებაა, ვხარჯავთ დროს, თანხას, ნერვებს და ა.შ. რატომ, რისთვის?! რა დავაშავეთ?! ამის გამო, ჩვენ უკვე ვართ დაზარალებულები, რაც არქიტექტურის სამსახურმა განაჩენის სახით გამოგვიტანა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს... სანამ სასამართლოს კარს მივადგებით, თხოვნით მივმართავთ ტელეკომპანია GDS (გადაცემა 2030) მიგვიწვიონ სატელევიზიო ეთერში ქალბატონი ოლღა ბერაძე, ნინო ღოლობერიძე, ჩვენ, დაზარალებული მხარე, კომპეტენტურ კონსტრუქტორებთან, არქიტექტორებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად. საინტერესო იქნება დისკუსია, თუ რამდენად სამართლიანად მოგვექცნენ არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც დამანგრეველი განაჩენი გამოგვიტანეს... სრულიად საქართველო შეძრული ვართ გარე ოკუპანტების მხრიდან ზეწოლით... რაოდენ სავალალოა, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი (თუნდაც ოლღა ბერაძე) ეწევა ჩვენ მიმართ შიდა ოკუპაციას... თხოვნით მივმართავთ აგრეთვე საზოგადოებრივ ტელევიზიას (გადაცემა „რეალურ სივრცეს") შეისწავლოს ჩვენი მდგომარეობა...

სულ ახლახან მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ რა ზარალიც მიაყენა თბილისის მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ბუნებრივი მოვლენა და ალბათ წინა მთავრობის არქიტექტურის სამსახურის შეცდომა, ბრალდებას მავანი და მავანი მაინც დღევანდელ მთავრობას და მერიას უყენებენ. საინტერესოა, ახალ ხელოვნურ სტიქიას, რომელსაც ჩვენი და ჩვენნაირების სახლების დანგრევით გამოიწვევს დღევანდელი არქიტექტურის სამსახური, რაც ზემოხსენებული ბრძანების (№1997370) გაცემით იქნება განპირობებული, ვის დააბრალებენ?!

ბატონო ირაკლი, ბატონო დავით, ნამდვილად არ გვინდა არსებული საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა (მით უმეტეს, რომ თქვენს წესიერებაში, დიდსულოვნებასა და პიროვნულ სიძლიერეში არც ერთი წამით ეჭვი არ გვეპარება), რისკენაც ნინო ღოლობერიძე და მისი სამსახური გვიბიძგებს.

ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მისცა ყველაფრის უფლება დამკვეთს, თავისი წერილობითი პასუხიდან გვითითებს, რომ თუ დავზარალდებით (მომიჯნედ მაცხოვრებლები) პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის დამკვეთს. ძალიან ხშირ შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიები, როცა მათი პასუხისმგებლობის საკითხი დგება, თავს გაკონტროლებულად აცხადებენ.. საინტერესოა, ითვალისწინებს თუ არა არქიტექტურის სამსახური მსგავს შემთხვევებს, როდესაც ხელს აწერს ასეთ გამანადგურებელ და დამანგრეველ პროექტს?! მით უმეტეს, რომ ვალდებულები იყვნენ პროექტის განხილვის დროს მხარედ ჩავეთვალეთ (პროექტის დამტკიცებამდე არაერთხელ მივსულვართ განცხადებით), მათი მხრიდან ჩვენი, როგორც მომიჯნედ მაცხოვრებელთა უფლებები სრულიად იგნორირებულია... ამიტომ ვითხოვთ, დაზარალების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისროს არა მხოლოდ დამკვეთს, არამედ არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელობას...

იმედს ვიტოვებთ, კონტროლზე აიყვანთ არსებულ საკითხს და დროულად მიიღებთ სათანადო ზომებს. განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო მერო, დაუყოვნებლივ მიგვიღოთ, რათა უფრო ღრმად გაეცნოთ არსებულ სიტუაციას და დარწმუნდეთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნაში... გვჯერა თქვენი წესიერების, ადამიანობის და იმედი გვაქვს, ყველაფერს დაერქმევა მისი სახელი, რათა დაუმსახურებლად არ გავხდეთ ჩვენი და ჩვენი ოჯახებით, მშენებლობის დამკვეთის და არქიტექტურის სამსახურის უტიფარი ქმედების მსხვერპლი, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას...

დაბოლოს, გვინდა გითხრათ, რომ არქიტექტურის თანამშრომელთა ქმედებები უნდა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის, საბოტაჟის ნიშნებს, რაც გულისხმობს საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის 59-ე დადგენილების შეუსრულებლობა ამ დანაშაულებრივი ქმედების ნათელი მაგალითია...

პატივისცემით,

**ირმა კეკელიძე**

**ლალი გვასალია**

**ტელ: 577-57-37-97**

**(ქ.თბილისში მარაბდის ქ.№15 და შატბერაშვილის ქ. №13 მაცხოვრებლები)**

# ნეგატიური განწყობა დამატებით ზეწოლას ახდენს ლარზე

ნონა ცაბაძე





ლარის კურსი რყევას განაგრძობს. ექსპერტი დემურ გიორხელიძე არ იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან საბოტაჟს აქვს ადგილი. ის პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებს.

– ცხადია, ეროვნული ბანკის პოლიტიკა ბოლო ორი წლის განმავლობაში შეუსაბამო იყო ეკონომიკის საერთო მდგომარეობასთან, მაგრამ ეს მხოლოდ ეროვნული ბანკის ბრალი არ არის, – ფიქრობს ექსპერტი.

მისი აზრით, არავინ განსაზღვრა ეკონომიკური პოლიტიკა, არავინ მისცა დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ეროვნულ ბანკსაც და მთავრობასაც. შედეგად, ეროვნული ბანკი აკეთებდა იმას, რაც საჭიროდ მიაჩნდა, თუმცა მისი ფულად– საკრედიტო პოლიტიკა არ შეესაბამებოდა იმ მთავარ ამოცანას, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას.

*– რა ამოცანები დგას ქვეყნის წინაშე?*

– სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილები. სამწუხაროდ, არც მთავრობის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იყო კარგად გამოკვეთილი. არც ის შეესაბამებოდა ამ მთავარ ამოცანას. შედეგად, დევალვაცია სწრაფი აღმოჩნდა, ბიზნესი შეიზღუდა, მონოპოლიური ჯგუფები კიდევ უფრო უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მთავრობის და ეროვნული ბანკის პოლიტიკა დღესაც არ არის კოორდინირებული და არ შეესაბამება არსებულ ვითარებას.

* * *

ცოტა ხნის წინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ლარის მორიგი გაუფასურება ბიზნესის მიერ თანხების დოლარში შენახვას დაუკავშირა. ეს მოსაზრება პრემიერმა ღარიბაშვილმაც გაიზიარა.

დემურ გიორხელიძე ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს.

– ბუნებრივია, ადამიანებს გადაჰყავთ საკუთარი დანაზოგები რეალურ ვალუტაში, მყარ ვალუტაში და ასეთი დღეს დოლარია! ამაში რა არის გასაკვირი?! გასაკვირი ის იქნებოდა, ასე რომ არ იქცეოდნენ, – ამბობს ექსპერტი.

რატომ იყო სააკაშვილის მთავრობის დროს ლარი ასე მყარი?

დემურ გიორხელიძის აზრით, ეს ხელოვნურად ხდებოდა.

– ფულის მიწოდება ხელოვნურად იყო შეზღუდული და, შესაბამისად, ლარის კურსი ძალიან მაღალ დონეზე იყო დაჭერილი, – ფიქრობს ექსპერტი.

სააკაშვილის დროს სტაბილურობის შენარჩუნება მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო, რადგან მდგომარეობა არ იყო გართულებული უკრაინაში, რუსეთში, საბერძნეთში.

– სწორედ საგარეო ფაქტორების გაუარესებამ გამოიწვია ლარის გაუფასურება. მით უმეტეს, რომ საქართველოში სიტუაცია არ გამოსწორებულა, პირიქით, უკან-უკან წავიდა, – ამბობს ექსპერტი.

მისი აზრით, სავალუტო კრიზისი გაჩნდა მაშინვე, როგორც კი ვალუტის შემოდინების წყაროები გახდა არასტაბილური.

– რა წყაროები გვქონდა? ძალიან სუსტი ექსპორტი, გადმორიცხვები ჩვენი თანამემამულეებისგან და ტურიზმი. ყველა სფეროში გაჩნდა პრობლემები და შემდეგ ეს გადაიზარდა სავალუტო კრიზისში, რომელიც დღესაც არ არის დაძლეული, – ასკვნის დემურ გიორხელიძე.

* * *

– რას მივიღებთ შემოდგომიდან? საუბარია ტარიფების ზრდაზეც.

– გაუმართლებელია ზრდა ტარიფებისა, რამაც კიდევ უფრო შეზღუდა მცირე და საშუალო ბიზნესი. არანაირი დადებითი ინფორმაცია არ გვაქვს და ეს ქმნის ნეგატიურ განწყობებს, რაც დამატებით ზეწოლას ახდენს ლარზე. თუ პოლიტიკას არ ცვლის ხელისუფლება, მაშინ რაღაცის იმედზე უნდა იყოს. გარედან რაიმეს მოლოდინი უახლოესი თვეების განმავლობაში უაზრობაა, რადგან საგარეო პირობები უარესდება.

*– მოიმატებს პურზე ფასი?*

– ხელისუფლებამ ყველა პირობა შეუქმნა მეწარმეს, რომ პური გაძვირებულიყო. ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა უშუალოდ ზემოქმედებს პურის მცხობელებზე. მეორე – მონოპოლიზმი ამ სფეროში და ხელისუფლებასთან ასოცირებული ხალხის მიერ მონოპოლიზება ხორბლისა და ფქვილის ბაზრისა. ეს საკმარისია, რომ, დევალვაციისა და ტარიფების ზრდის პირობებში, პური გაძვირდეს.

*– არჩევნები ახლოვდება, მსგავსი არაპოპულარული ნაბიჯები არ დააზარალებს ხელისუფლებას?*

– ხელისუფლება პოლიტიკურ დღეგრძელობაზე რომ ფიქრობდეს, ამ ხნის განმავლობაში სხვა პოლიტიკას განახორციელებდა. როგორც ჩანს, მას იმედი აქვს, რომ, ნაციონალური მოძრაობის ფონზე, ხალხი მაინც მას დაუჭერს მხარს. ასეც რომ მოხდეს, შედეგი მაინც უშედეგობა იქნება.

*– ანუ ხალხმა არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გააკეთოს?*

– 25 წელია, ქართველი ხალხი ასეთ არჩევანს აკეთებს და შედეგიც იმიტომაც არ აქვს.

# ჩინეთის შავი ორშაბათი

## რუსეთში რუბლის ღირებულებამ დოლარის მიმართ 1998 წლის ისტორიულ მინიმუმს მიაღწია

გუშინ, 24 აგვისტოს, მსოფლიოს საფონდო ბაზრებზე მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა. ეს განსაკუთრებით აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ევროპისა და რუსეთის ბირჟებზე აისახა.

ჩინეთის ეკონომიკის ზრდის შემცირების ფონზე, რაც ლითონისა და ენერგომატარებლების ჭარბი წარმოების კრიზისს გამოიწვევს, „ბლუმბერგის" სასაქონლო ინდექსი 16-წლიან მინიმუმამდე დაეცა.

ბოლო მონაცემებით, ლოომბერგ ჩომმოდიტყ-ის ინდექსი 2,2%-თ შემცირდა და 85,8339 პუნქტი შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1999 წლის შემდეგ.

ამასთან ერთად, მსოფლიო ბაზარზე გაუფასურებას განაგრძობდა ნავთობის ფასი. პირველად 2009 წლის მარტის შემდეგ „ბრენტის" მარკის ნავთობზე ფასი ბარელზე 44 დოლარს ქვევით ჩამოვიდა და 43,69 დოლარი შეადგინა, ჭთI-ის ნედლი ნავთობის ფასი კი 3,8%-ით შემცირდა და ბარელზე 38,93 დოლარი შეადგინა.

* * *

რუსეთში 1998 წლის ისტორიულ მინიმუმს მიაღწია რუბლის ღირებულებამ დოლართან მიმართებაში. გუშინდელი ვაჭრობის შედეგად 1 დოლარი 70,75 რუბლი ღირს, 1 ევრო კი – 81,15 რუბლი, რაც თითქმის 4 რუბლით მეტია პარასკევის მაჩვენებელთან.

5%-ით დაეცა ბელორუსული რუბლის კურსი დოლართან მიმართებაში და 1 დოლარის ღირებულებამ 17,601 რუბლი შეადგინა. ბელორუსული რუბლის ვარდნის ძირითად მიზეზად ექსპერტები რუსული რუბლის არამდგრადობას ასახელებენ.



პარასკევთან შედარებით მცირედით გამყარდა ყაზახეთის ეროვნული ვალუტა.

„ბლუმბერგის" ინფორმაციით, 10 განვითარებული ქვეყნის ვალუტიდან ბოლო კვირის განმავლობაში ყველაზე მეტად იაპონური იენა, შვეიცარული ფრანკი და ევრო გამყარდნენ. ევროს კურსი დოლართან მიმართებაში 0,85%-ით გამყარდა და 1 ევროს ღირებულებამ 1,1484 დოლარი შეადგინა.

* * *

ჩინეთის საფონდო ბირჟებზე შექმნილ ვითარებას ექსპერტებმა უკვე უწოდეს „შავი ორშაბათი". 24 აგვისტოს დილის მონაცემებით, შანხაის საფონდო ბირჟის ინდექსი 8,45%-ით – 3211,2 პუნქტით დაეცა, რაც 5 თვის განმავლობაში მინიმუმია. შენჟენის ბირჟის ინდექსი – 7,61%-ით, 1884,16 პუნქტამდე, ხოლო ჰონგკონგის – 4,64%-ით, 21369,7 პუნქტამდე დაეცა.

ტაივანის საფონდო ბირჟის ინდექსი 4,4%-ით, 7441,3 პუნქტამდე დაეცა, იაპონიის ინდექსი – 3,5%-ით, 18774,69 პუნქტამდე, კორეის ინდექსი – 2,34%-ით, 1832,63 პუნქტამდე, ხოლო ავსტრალიური ინდექსი – 7,5%-ით, 5214,6 პუნქტამდე დაეცა.

დაეცა ზოგიერთი ევროპული ინდექსიც. გერმანული 2,7%-ით დაეცა, ლონდონის – 2,8%-ით.

* * *

– პეკინმა უნდა შეინარჩუნოს ბაზრის ნდობა. ამასთან ერთად, ჩინეთის ხელისუფლება უფრო მასშტაბურად უნდა ჩაერიოს შექმნილ ვითარებაში, – აღნიშნა ლონდონელმა ეკონომისტმა რობ კარნელმა.

11 აგვისტოს იუანის დევალვაციიდან მოყოლებული დღემდე, მსოფლიო ბაზარზე აქციების საბაზრო კაპიტალიზაციის დანაკარგმა 5 ტრილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. **ბიპიენი**

# თბილისში დენის ახალი ტარიფი 18 დეკემბრამდე გახდება ცნობილი

სემეკ-ის წევრი გოჩა შონია ფიქრობს, რომ „თელასის" სამომხმარებლო ტარიფთან დაკავშირებით გადაწყვეტილება საბოლოო ვადამდე – 18 დეკემბრამდე გაცილებით ადრე იქნება მიღებული.

ამის შესახებ შონიამ ჟურნალისტებს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში სამომხმარებლო ტარიფის შეახებ საჯარო განხილვის დაწყებამდე განუცხადა.

– თელასის ტარიფთან დაკავშირებით ბოლო ვადა 18 დეკემბრამდე გვაქვს. თუმცა, დიდი ალბათობით, მანამდე მომზადდება ეს საკითხი, გამოვა კომისიის სხდომაზე და კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს გრძელვადიანი პროცესი არ იქნება. დეპარტამენტი სრული დატვირთვით მუშაობს და ვფიქრობ, რომ გაცილებით ადრე მოხდება გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ეს არის 18 დეკემბერი, – განაცხადა შონიამ.

გუშინდელი საჯარო განხილვის თემაზე საუბრისას შონიამ განაცხადა, რომ შესყიდვის კომპონენტი არის მნიშვნელოვანი.

– ძირითადი კომპონენტი, რომლითაც ითხოვდა „თელასი" ტარიფის კორექტირებას, იყო შესყიდვის კომპონენტის გაძვირება. ამიტომ მასზე ბევრწილადაა დამოკიდებული სამომხმარებლო ტარიფის საბოლოო განაკვეთი, – განაცხადა შონიამ.

განხილვას „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურიაც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ „თელასს" ელექტროენერგიის შესასყიდი ფასები აქვს ხელოვნურად გაბერილი.

როგორც ბაღათურიამ აღნიშნა, ტარიფის ზრდით დაინტერესებული არიან ხელისუფლების მაღალჩინოსნები.

სემეკ-ში თელასის ტარიფთან დაკავშირებით, ცვლილებების წარდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2015 წლის 31 აგვისტო. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადად განსაზღვრულია 2015 წლის 18 დეკემბერი.

# ლარმა 2015 წლის გაუფასურების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა

გუშინ, 24 აგვისტოს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვით, 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2,3640 ლარი გახდა, რაც მიმდინარე წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2015 წელს დოლარმა ყველაზე მაღალ ნიშნულს მაისში მიაღწია და 1 დოლარის ღირებულებამ 2,3637 ლარი შეადგინა.

გუშინდელი მონაცემები დაახლოებით 8 თეთრი ნაკლებია 1999 წლის თებერვლის მაჩვენებელზე, როცა ლარის გაუფასურების მაქსიმალური ზღვარი დაფიქსირდა და 1 დოლარის ღირებულებამ 2,4510 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურება 1998 წლის დეკემბრიდან დაიწყო და 1999 წლის 23 თებერვალს 1 აშშ დოლარის ფასმა მაქსიმალურ ნიშნულს, 2.45 ლარს მიაღწია. თუმცა ეს კურსი ორ დღეში 2.39-მდე ჩამოვიდა, 27 თებერვალს – 2.35-მდე, ხოლო წლის ბოლოს 1.93-ზე დასტაბილურდა.

აშშ დოლართან მიმართებაში საქართველოს ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურება გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო. 2014 წლის ნოემბრის დასაწყისში 1 აშშ დოლარის ღირებულება 1.7542 ლარი იყო.

# ნაყინში ჯანმრთელობისთვის საშიში ლისტერია მონოციტოგენეზი აღმოაჩინეს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა სამტრედიის ნაყინის სახელით ცნობილი შპს „მყინვარის" რამდენიმე სახეობის ნაყინის ნიმუშები აიღეს და შესამოწმებლად სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში გადააგზავნეს.

როგორც უწყების პრესსამსახურში აცხადებენ, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შპს „მყინვარის" ოთხი სახეობის ნაყინში – ნაყინი „მყინვარი" საოჯახო; ნაყინი მარწყვით; ნაყინი ვანილის და ნაყინი მყინვარი, აღმოჩნდა ლისტერია მონოციტოგენეზი, რის შესახებაც უკვე ეცნობა საწარმოს ხელმძღვანელობას და მასვე დაევალა პროდუქციის ბაზრიდან გამოთხოვა.

აღნიშნული დარღვევის გამო საწარმოში არაგეგმური ინსპექტირება განხორციელდება და ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდება.

ლისტერია მონოციტოგენეზი პათოგენური მიკროორგანიზმია, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სურსათის ეროვნული სააგენტო აფრთხილებს მოსახლეობას, თუკი ვინმეს ნაყიდი აქვს შპს „მყინვარის" მიერ წარმოებული ნაყინი აღნიშნული პარტიიდან, არ გამოიყენოს საკვებად და შეატყობინოს სააგენტოს ცხელ ხაზს: 291 91 68.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# უკრაინამ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

## დამოუკიდებლობის 24-ე წლისთავი ჰიბრიდული ომის პირობებში აღინიშნა

დამოუკიდებლობის 24-ე წლისთავი უკრაინამ კვლავაც საომარ პირობებში აღნიშნა, თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით, რუსებმა ახალი „კოტიოლის“ მოწყობა ვერ შეძლეს. ეს თანაბრად ეხება როგორც მარიუპოლს, ასევე დონეცკის გარეუბნებსაც.

– ჩვენს არმიაში ჯერჯერობით დიდი პრობლემებია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, დიდი წინსვლაა. შეტევაზე გადასვლა ჯერჯერობით არ ძალგვიძს, მაგრამ არც რუსებს შეუძლიათ შემოგვიტიონ, – განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა და ყოფილმა მედესანტემ სერგეი კუნიცინმა.



### პროვოკაციის მოლოდინში

უკრაინის უშიშროების სამსახურის ცნობით, დამოუკიდებლობის დღეს მასშტაბური პროვოკაციები იყო მოსალოდნელი. მართლაც 22-23 აგვისტოს სეპარატისტებმა რამდენიმე შეტევის განხორციელება სცადეს, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ სეპარატისტულმა საიტმა „რუსსკაია ვესნამ“ მორიგი „დეზა“ გაავრცელა:

– ნოვოროსიის შეიარაღებულმა ძალებმა სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლები მიხაილოვკა და მარივკა დაიკავეს! უკრაინული არმია სამარცხვინოდ გარბის!

ასეთი უსირცხვილო და თავხედური ტყუილი უკრაინულ საზოგადოებაში პანიკის დასათესად იყო გამიზნული. ეს წინ უსწრებდა გრანდიოზულ პროვოკაციას, რომელიც 24 აგვისტოს დამოუკიდებლობის დღეს იყო დაგეგმილი. 23 აგვისტოს დონეციდან სეპარატისტების ლიდერი ზახარჩენკო გაუჩინარდა.

– ეს შემთხვევით არ მოხდა! 24 აგვისტოს სეპარატისტები დონეცკის დაბომბვას აპირებენ, რათა ამაში ჩვენ დაგვადანაშაულონ! – განაცხადა უკრაინის ანტიტერორისტული შტაბის წარმომადგენელმა ლისენკომ.

დაგეგმილი იყო აგრეთვე ტერაქტები როგორც დონბასში, აგრეთვე უკრაინის დანარჩენ ნაწილშიც. უკრაინის დაზვერვამაც მოსალოდნელ პროვოკაციებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა:

„მომხდარზე პასუხისმგებლობა სეპარატისტებს და მათ მოსკოველ მფარველებს დაეკისრებათ“, – ნათქვამია განცხადებაში. ასეთი ატმოსფერო სუფევდა დამოუკიდებლობის 24 წლისთავის ზეიმის წინ.

### მტერი აქტიურდება

როგორც მოსალოდნელი იყო, 24 აგვისტოს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა დონბასის მთელს ფრონტზე გააქტიურება სცადეს. შეტაკებებს ადგილი ჰქონდათ როგორც დონეცკ-ლუგანსკის გარეუბნებში, ასევე მარიუპოლთანაც, სადაც რუსებმა სოფელი ბოგდანოვკა „გრადებით“ დაამუშავეს. ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა სტანიცალუგანსკაიასთანაც. რუსების მცდელობა, ამ დასახლებულ პუნქტში შეჭრილიყვნენ, მოგერიებულ იქნა. პასუხად რუსებმა სტანიცის „გრადებით“ ბომბარდირება დაიწყეს. დონეცკის მიმართულებით რუსებმა კვლავ დაბომბეს ავდეევკა და პესკი, თუმცა ყველა მცდელობა შეტევაზე გადასვლისა ამჯერადაც მოგერიებულ იქნა. მტერმა ინიციატივის ხელში აღება ვერ შეძლო, მეტიც, ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის შსს-სა და უშიშროების მობილიზებულმა თანამშრომლებმა პოზიციები თვითნებურად მიატოვეს.

– დონბასელებს ომი არ სურთ, სისხლისღვრის გაგრძელებას მათ მოსკოვიდან აიძულებენ, – იტყობინება „ცენზორ ნეტი“.

სულ გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსებმა უკრაინელთა პოზიციებს ცეცხლი 82-ჯერ გაუხსნეს. გამოიყენებოდნენ „გრადები“, ქვემეხები, ანუ მტერმა მინსკის შეთანხმებები კიდევ ერთხელ ცინიკურად დაარღვია. მიუხედავად ამისა, რუსებმა ინიციატივის აღება ამჯერადაც ვერ შეძლეს ვერც მარიუპოლთან, ვერც დონეცკთან დანაპირები „კოტიოლები“ ვერ მოეწყო.

### პეტრო პოროშენკო: ჩვენ არავის არაფერს არ ვაპატიებთ!

24 აგვისტოს კიევში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა. დილით პრეზიდენტმა პოროშენკომ და პრემიერმა იაცენიუკმა შევჩენკოსა და მიხაილო გრუშევსკის საფლავებზე ყვავილები დააწყვეს, კიევის მთავარ მოედანზე კი ათასობით ადამიანი შეიკრიბა. იქაურობა ეროვნული ლურჯ-ყვითელი დროშებით იყო მორთული.

– ვამაყობ იმით, რომ უკრაინელი ვარ! – განუცხადა „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტს ერთ-ერთმა კიეველმა.

თანახმად როზუმკოვის სახელობის ცენტრის მონაცემებისა, უკრაინელთა 80 პროცენტი დამოუკიდებლობის მომხრეა. ნატოში გაწევრიანებას მხარს 64 პროცენტი უჭერს. ამრიგად, ჰიბრიდულმა ომმა უკრაინელთა საბრძოლო შემართებას ვერაფერი დააკლო, თუმცა პოეტი ოქსანა ზაბუჟკო მაინც უკმაყოფილოა:

– გამოდის, რომ ჩვენი მოქალაქეების 20 პროცენტი დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. ფაქტიურად უკრაინის მცხოვრებლების 20 პროცენტი ჩვენი მოქალაქეები არ არიან!

პრეზიდენტმა პოროშენკომ შეკრებილთ სიტყვით მიმართ. მან განაცხადა, რომ უკრაინამ თავისი ისტორიის უმძიმესი ეტაპი უკვე გაიარა. ე.წ. „ნოვოროსია“ ვერ შედგა. დღეს უკრაინა აკონტროლებს როგორც დონბასის 70 პროცენტს, ასევე მთელ შავი ზღვისპირეთსაც.

– მოსკოვში ეგონათ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა ფიქცა იყო და პირველივე სერიოზული დარტყმის შედეგად ჩამოიშლებოდა! იმედი არ გამართლდა. ჩვენმა ხალხმა დაამტკიცა, რომ უყვარს სამშობლო და მისი დაცვა შეუძლია, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა საგანგებოდ გადაუხადა მადლობა მათ, ვინც დონბასში იბრძვის და შეძლო წარმოუდგენელი რამ: რუსული შეიარაღებული ძალების შეტევის შეჩერება. უკვე ცხადია, რომ ე.წ. „ჰიბრიდული ომით“ უკრაინას ვერაფერი დააკლეს. რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის საფრთხე გაიზარდა.

– ჩვენს საზღვრებთან რუსეთმა თავი მოუყარა 50 000-იან არმიას. დონბასის ტერიტორიაზე 40 000 ე.წ. „მოლაშქრე“ იმყოფება, სადაც დონბასელი მხოლოდ 8 000. სინამდვილეში ეს რუსული სამხედრო ძალაა, – განაცხადა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ომის დაწყებიდან დღემდე 2000 უკრაინელი მეომარი დაიღუპა. მათ სამშობლო მკერდით დაიცვეს.

– ჩვენი ხალხი არასოდეს არ აპატიებს ამას რუსეთს, – თქვა პოროშენკომ.

### დამოუკიდებლობის მარში

შემდეგ იყო სამხედრო პარადი. ხრეშჩატიკზე მწყობრი ნაბიჯით გაიარეს უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა. ხალხი მათ აღტაცებული შეძახილებით შეეგება:

– დიდება უკრაინას! გმირებს დიდება!

ჩაიარეს მედესანტეებმა, ეროვნული გვარდიის მებრძოლებმა, უშიშროების სპეცნაზელებმა. მეომრებს სახეზე სიმტკიცე და შემართება ეტყობოდა. აღლუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უკრაინამ შექმნა ბრძოლისუნარიანი ეროვნული არმია, რომელსაც სამშობლოს დაცვა შეუძლია.

– გმირებს დიდება! გმირებს დიდება! – გაისმოდა აქეთ-იქიდან.

პარადის დამთავრების შემდეგ პოროშენკო ჯერ უკრაინელ მეომრებთან მივიდა, ყველა მათგანს ხელი სათითაოდ ჩამოართვა, შემდეგ შეკრებილ ხალხს მიუახლოვდა, დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

– დონბასი ჩვენი იქნება! ყირიმსაც დავიბრუნებთ! – ამბობდა პრეზიდენტი.

### პარადი დასრულდა, ბრძოლა გრძელდება

ხრეშჩატიკიდან პოროშენკო პირდაპირ გერმანიაში გაემგზავრა. აქ 24 აგვისტოს 16 საათზე დანიშნულია შეხვედრა კანცლერ მერკელთან და საფრანგეთის პრეზიდენტ ოლანდთან. საუბრის ძირითადი თემა დონბასში შექმნილი ვითარება იქნება, თუმცა უკვე ცხადია ერთი: ჰიბრიდული ომით რუსეთი ვერაფერს გახდა და რუსეთშიც უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ინტერვენციის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ, თუმცა ეს რუსეთს ძალზე ძვირი დაუჯდება.

უკრაინულმა სახელმწიფომ გაუძლო ომს. ის არ ჩამოიშალა. მოსახლეობის უმრავლესობა დამოუკიდებლობას მხარს უჭერს და მზადაა, ის იარაღით ხელში დაიცვას. დღეს უკრაინულ არმიაში უკვე 210 000 ჯარისკაცია. აქედან ყოველი მესამე მოხალისეა. მართალია, არასაკმარისი დატვირთვით, მაგრამ მაინც ამუშავდა უკრაინული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც არმიის მომარაგების ძირითადი წყაროა. დღეს უკრაინელთა შეიარაღებაშია როგორც ტანკები, ქვემეხები და თვითმფრინავები, ასევე რაკეტებიც. წლის ბოლოსთვის უკრაინული არმიის რაოდენობა 300 000-ს მიაღწევს, შეიარაღებას კი 30 000 რაკეტა დაემატება.

– თუკი რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციის დაწყება გაბედა, ეს მას ძალზე ძვირი დაუჯდება. მოსკოვი ხანგრძლივ სისხლიან კონფლიქტში აღმოჩნდება ჩათრეული, მსხვერპლის ოდენობა კი ასეულობით ათასებს მიაღწევს, – თვლის პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიკორსკი.

ამას მოსკოვშიც აცნობიერებენ და ჯერჯერობით ფართომასშტაბიანი ინტერვენციისაგან თავს იკავებენ, მაგრამ რა მოხდება ხვალ?

ნიკა თევზაძე

---

## ნადეჟდა სავჩენკო პუტინს გადადგომას ურჩევს

უკანონო პატიმრობაში მყოფი უკრაინელი მფრინავი-ქალი ნადეჟდა სავჩენკო პუტინს გადადგომას ურჩევს. მისი აზრით, რუსეთის პრეზიდენტმა თავისი ქვეყანაცა და რუსულ--უკრაინული ურთიერთობებიც ჩიხში შეიყვანა.

– პუტინისათვის გადადგომა საუკეთესო ვარიანტია, – აცხადებს სავჩენკო.

უკრაინელი მფრინავი რუსეთის ხელისუფლების წინაშე ქედის მოხრას არ აპირებს. მისი მიზანი უცვლელია: მიაღწიოს იმას, რომ გაათავისუფლონ.

– როგორც კი გამათავისუფლებენ, უკრაინაში დავბრუნდები, – აცხადებს სავჩენკო.

ადვოკატი მარკ ფეიგინი ადასტურებს, რომ სავჩენკოს უდანაშაულობა დამტკიცებულია. გამოძიებას საამისო მტკიცებულებები (მათ შორის ვიდეო მასალაც) უკვე გადაეცა. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის კლიენტს გაათავისუფლებენ:

– სავჩენკოს ოცწლიან პატიმრობას მიუსჯიან, რადგანაც პუტინს ასე სურს. რუსეთში მთავარი არა კანონი, არამედ პუტინის სურვილებია, – თქვა ფეიგინმა.

---

## ჩრდილოეთ კორეა ომისათვის ემზადება

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მოლაპარაკებები დაიწყო. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კორეის სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ ჩრდილოეთ კორეა ომისათვის ემზადება. საზღვარზე ჩრდილოეთ კორეამ თავისი სამხედრო კონტინგენტი მკვეთრად გაზარდა. ამას გარდა, ჩრდილოეთ კორეის წყალქვეშა ნავებმა თავიანთი ბაზები დატოვეს. მათი ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

– ჩრდილოეთ კორეას სამოცდაათამდე წყალქვეშა ნავი ჰყავს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

სამხრეთ კორეის არმიაში საბრძოლო მზადყოფნაა გამოცხადებული. სამხედრო კონტინგენტი, რომელიც ალიასკაზე სამხრეთ კორეა-აშშ-ს სწავლებებში მონაწილეობდა, სასწრაფოდ სამშობლოში გამოიძახეს.

– სიტუაცია ძალზე დაძაბულია. საკმარისია ნაპერწკალი, რათა ომის ხანძარი გაჩნდეს, – აცხადებს „დოიჩე ველე“.

---

## მაჰმუდ აბასი გადადგა

პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელმა მაჰმუდ აბასმა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი დატოვა. მასთან ერთად გადადგა კომიტეტის წევრების თითქმის ნახევარი.

– აღმასრულებელი კომიტეტი პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ექსპერტების აზრით, აბასმა ტაქტიკური მანევრი განახორციელა. მისი მიზანი ახალი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევაა, რომელიც მისადმი მთლიანად ლოიალური იქნება.

---

## ასტრახანის ოლქის პროკურორმა თავი მოიკლა



ტელე-არხ ასტრახან-24-ის ცნობით, ასტრახანის ოლქის პროკურორმა ოლეგ დუპაკმა თავი მოიკლა. პროკურორის გვამი მისსავე ბინაში აღმოაჩინეს. დუპაკს ასტრახანის პროკურორის პოსტი 2009 წლიდან ეკავა. მანამდე ის მუშაობდა მაგადანში, შემდეგ კარელიის პროკურორი იყო.

– მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა მარინა გრიდნევამ განაცხადა, რომ სავარაუდოდ დუპაკს იარაღი შემთხვევით გაუვარდა. გრიდნევამ ხაზი გაუსვა იმას, რომ დუპაკს თვითმკვლელობის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, ჰყავდა ბედნიერი ოჯახი (მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი), მისი კარიერაც წარმატებულად ვითარდებოდა. საუბარი იყო დუპაკის მოსკოვში გადაყვანასა და დაწინაურებაზე. ტელე-არხი ასტრახანი-24-იც ადასტურებს, რომ პროკურორი უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა.

– თანახმად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა, დუპაკი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იარაღი გაუვარდა, – თვლიან ასტრახანელი ტელე-ჟურნალისტები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

---

## განცხადებები

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ალკოჰოლიზმისაგან, თამბაქოს მწეველობისგან განკურნება, ნერვული სტატუსის, უძილობის მოწესრიგება, მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა სექსუალური პრობლემის მოწესრიგება (იმპოტენცია, ფრიგიდულობა, კლიმაქსის ჩათვლით), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოწესრიგება ფიტოთერაპიული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. 599 65-43-66; 592 25-38-26. ნინო ექიმი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# შოთა ჩოჩიშვილი დიდების დარბაზში შეიყვანეს



ლეგენდარული ქართველი ძიუდოისტი შოთა ჩოჩიშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ დიდების დარბაზის წევრად აღიარა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გაიმართა

დიდების დარბაზში სულ 10 წევრი შეიყვანეს – 5 მამაკაცი და 5 ქალი. სასიამოვნოა, რომ მათ შორის ქართველი ძიუდოისტიც მოხვდა ჩოჩიშვილის სახელით, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის დიპლომი და პრიზი მისმა ვაჟმა, რამაზ ჩოჩიშვილმა ჩაიბარა.

**რამაზ ჩოჩიშვილი:**

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვიზერს და ძიუდოს საერთაშორისო ოჯახს ამ პატივისთვის. ეს აღიარება ქართული ძიუდოს კიდევ ერთი წარმატებაა.

ქართველი ძიუდოისტის გარდა, დიდების დარბაზის საპატიო წევრები გახდნენ: მამაკაცთა შორის იაპონელები ჰარუკი უემურა და ლეგენდარული იასუჰირო იამასიტა, ასევე კორეელი იეონ კი-იანგი, ხოლო ქალთა შორის ბრიტანელი კარენ ბიგსი, კუბელი დრიულის გონსალესი, ბელგიელი ჟელა ვანდეკევეიე, ალჟირელი სორაია ჰადადი და ავსტრალიელი მარია პეკლი.

შოთა ჩოჩიშვილი 1950 წლის 10 ივლისს დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ ღვლევში. ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ძიუდოისტია: 1972 წელს, მიუნხენში მოგებული ოლიმპიური ოქროს გარდა, 1976 წელს მონრეალში ოლიმპიურ ბრინჯაოს დაეუფლა, 1973, 1974 და 1975 წლებში ევროპული ვერცხლი, 1977 წელს კი ბრინჯაო მოიპოვა. 1975 წელს მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიო პირველობაზე, ოთხჯერ კი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა.

სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენების კავალერი შოთა ჩოჩიშვილი 2009 წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა.

# საქართველოს ნაკრები უკვე ინგლისშია

ინგლისში გასამართ რაგბის მსოფლიო თასის დაწყებამდე დღეები რჩება და საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ მიაშურა ნისლიან ალბიონს, სადაც ჯერ მზადების მესამე, ბოლო ეტაპია დანიშნული, შემდეგ კი უკვე დიდ ფორუმში ჩაებმევა.

ინგლისში გამგზავრების წინ მორაგბეებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უმასპინძლა და სპორტსმენებს გზა დაულოცა. პრემიერ-მინისტრთან ერთად მორაგბეებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე, რაგბის კავშირის ხელმძღვანელები და მთავრობის წარმომადგენლებიც შეხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასზე ჩვენი გუნდი ჯგუფში ოთხ შეხვედრას ჩაატარებს: 19 სექტემბერს ტონგას გაეჯიბრება, 25 სექტემბერს – არგენტინას, 2 ოქტომბერს – ახალ ზელანდიას, ხოლო 7 ოქტომბერს – ნამიბიას.



**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– კარგა ხანია მოსამზადებელი ეტაპი დავიწყეთ და ერთი სული გვაქვს, როდის გავალთ მინდორზე, რადგან გვინდა შედეგი ვნახოთ. მსოფლიოს თასამდე ინგლისში 3 მატჩი გველის და ამ თამაშებში საბოლოოდ გამოიკვეთება ჩვენი სათამაშო ტაქტიკა და ძირითადი შემადგენლობა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასამდე სამ საწვრთნელ შეხვედრას ჩაატარებს: 28 აგვისტოს ინგლისის ავივა პრემიერშიფის გუნდ „ნიუკასლ ფალკონზთან", 2 სექტემბერს კანადის ნაკრებთან, 5 სექტემბერს კი იაპონიასთან.

მსოფლიო თასზე მონაწილე 31 ქართველი მორაგბის ვინაობა პირველ სექტემბერს გაირკვევა, მანამდე კი, „ბორჯღალოსნების" გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

**უკანა ხაზი:** მერაბ კვირიკაშვილი (მონლიუსონი, საფრანგეთი), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), გიორგი აფციაური, გიორგი ფრუიძე (ორივე აია), სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, გიორგი ტალახაძე (ყველა ლელო სარასენსი), თამაზ მჭედლიძე (აუენი, საფრანგეთი), მურაზ გიორგაძე, ვასილ ლობჟანიძე (ორივე არმაზი), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), მერაბ შარიქაძე (ორიაკი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბანიერი, საფრანგეთი), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები);

**წინა ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია, დუდუ ქუბრიაშვილი (ორივე სტად ფრანსე, საფრანგეთი), კარლენ ასიეშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი (ორივე ბრივი, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (ვალანსი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (სეილ შარქსი, ინგლისი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), დავით ზირაქაშვილი, ვიტო კოლელიშვილი (ორივე კლერმონი, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა, კოტე მიქაუტაძე მამუკა გორგოძე (ყველა ტულონი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (ლილი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (ტარბი, საფრანგეთი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი) ოთარ გიორგაძე (აია), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), საბა შუბითიძე (აკადემია), ბექა გორგაძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია (პერპინიანი, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე (ლოკომოტივი), ლაშა ლომიძე (ბეზიე, საფრანგეთი).

# გვარდიოლამ ჰიტცფელდს უპასუხა

„ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი, პეპ გვარდიოლა რამდენიმე დღის წინ, ოტმარ ჰიტცფელდის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

შეგახსენებთ, რომ ჰიტცფელდმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ესპანელი სპეციალისტის ხელში მიუნხენური გრანდი გერმანულ მენტალიტეტს კარგავს.

**პეპ გვარდიოლა:**

– ჰიტცფელდის დროს, 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში მხოლოდ ოთხმა გერმანელმა ითამაშა. ამ მხრივ ყველაზე სოლიდური მაჩვენებელი იუპ ჰაინკესს ჰქონდა. ასე რომ, შენიშვნა უადგილო ჩანს. ამასთან, მე არ მაქვს გერმანული მენტალიტეტი, ვინაიდან კატალონიელი ვარ.

გეტყვით იმასაც, რომ ამჟამად „რეკორდმაისტერში" 12 გერმანელი ფეხბურთელი ირიცხება, რაც მთელი გუნდის 48 პროცენტს შეადგენს.

# ბარსა რეალთან პირველივე ტურში დაწინაურდა

„ბარსელონამ" ესპანეთის პრიმერა დივიზიონი მოგებით დაიწყო. თანაც მოუგო იმ გუნდს, რომელთანაც ახლახან დათმო ესპანეთის სუპერთასი – კატალონიელებმა „ბილბაო დაამარცხეს (1:0) სტუმრად.

**„ბარსას" მთავარმა მწვრთნელმა, ლუის ენრიკემ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ისაუბრა:**

– ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე დავიწყეთ – იდეალური მატჩი ჩავატარეთ. მოწინააღმდეგეს ჩვენს კართან არანაირი სახიფათო მომენტი აქ შევაქმნევინეთ. „ბილბაო" მჭიდროდ მოქმედებდა, თუმცა საგოლე მომენტების შექმნა მაინც მოვახერხეთ. ნეიმარის „მანჩესტერში" გადასვლაზე გავრცელებული ჭორები? ეს არ მაინტერესებს. ჭორების განხილვას არ ვაპირებ. ფოკუსირებული ვარ იმაზე, რა ხდება ჩემს გუნდში. სერხი რობერტო ძალიან სწრაფად ჩაერთო თამაშში, თუმცა შესანიშნავად ითამაშა. კარგი იყო ალბაც. დაცვა ჩვენს სისტემაში მნიშვნელოვანია.

მიუხედავად გამარჯვებისა, „ბარსამ" დანაკლისი მაინც განიცადა. კატალონიელთა მარჯვენა მცველმა დანი ალვეშმა და ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა, ბასკებთან მატჩში ტრავმები მიიღეს. ლუის ენრიკემ ორივე ფეხბურთელი მატჩის დროს შეცვალა.

წინასწარი ინფორმაციით, ალვეშმა ბარძაყის კუნთი დაიზიანა, ხოლო ბუსკეტსს კოჭის ტრავმა აქვს.

**ლუის ენრიკე:**

– ბუსკეტსისა და ალვესის ტრავმები? ფეხბურთი კონტაქტური სპორტია და ტრავმები თამაშის ნაწილია. საბედნიეროდ, დაზიანებები, ორივე შემთხვევაში, როგორც ჩანს, სერიოზული არაა.

სეზონი ცუდად დაიწყო „ბარსას" კონკურენტმა მადრიდის „რეალმა". „სამეფო კლუბი" „ხიხონს" დაუზავდა. მხოლოდ ერთი ქულა აქვს, რაც ნიშნავს, რომ უკვე ჩამორჩება „ბარსას".

**რაფაელ ბენიტესი:**

– მატჩის პირველ ტაიმში საშინლად ვითამაშეთ და მეტოქეს გოლის გატანის საშუალება არაერთხელ მივეცით, განსხვავებული იყო მეორე ნახევარი, თუმცა შეცდომის გაანალიზება აუცილებელი იქნება. დამაგვირგვინებელ ფაზაში პრობლემები იყო. გადამწყვეტ პასს ყოველთვის არასწორად ვაკეთებდით. მეორე ტაიმში გუნდმა აჩვენა საკუთარი ხასიათი და ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად, ხიხონელები კიდევ უფრო ჩაიკეტნენ. ყველაზე მთავარი მობილური თამაშია, სხვაგვარად ლა ლიგაში წარმატებას ვერ მიაღწევ. ვწუხვარ, რომ გახსნით მატჩში 3 ქულა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ წინ დიდი სეზონი გველის.

# შედეგები

## 23 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი ... 2:3
ევერტონი-სიტი ... 0:2
უოტფორდი-საუთჰემპტონი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2.ლესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 3.მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 4.კრ.პალასი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 5.ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 6.სუონსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 7.ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 8.ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 9.ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 10.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-6 | 3 |
| 11.უოტფორდი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 12.ბორნმუთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 13.არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 14.ასტონ ვილა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15.სტოკი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 16.ტოტენჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 17.ნიუკასლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 18.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ბარსელონა ... 0:1
ხიხონი-რეალი ... 0:0
ლევანტე-სელტა ... 1:2
ბეტისი-ვილიარეალი ... 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდესი-სარაგოსა ... 1:1
ოვიედო-ლუგო ... 2:2
ალმერია-ლეგანესი ... 3:2
ხიმნასტიკი-ალბასეტე ... 2:2
ნუმანსია-ტენერიფე ... 6:3
პონფერადინა-ელჩე ... 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-დორტმუნდი ... 0:4
გლადბახი-მაინცი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 3.ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 4.შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5.კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 6.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.ინგოლშტადტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| 10.ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| 11.დარმშტადტი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 12.აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.ჰანოვერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14.აუგსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 15.ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 17.შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |
| 18.გლადბახი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ნიურნბერგი ... 2:1
მიუნხენ 1860-უნიონი ... 0:0
ლაიპციგი-ზ.პაული ... 0:1

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-უდინეზე ... 0:1
ემპოლი-კიევო ... 1:3
ფიორენტინა-მილანი ... 2:0
ფროსინონე-ტორინო ... 1:2
ინტერი-ატალანტა ... 1:0
პალერმო-ჯენოა ... 1:0
სამპდორია-კარპი ... 5:1
სასუოლო-ნაპოლი ... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-ბორდო ... 0:0
ლორიანი-სტ.ეტიენი ... 0:1
მარსელი-ტრუა ... 6:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 2.ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3.ანჟე | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4.ნანტი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 5.რენი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 6.კაენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 7.რეიმსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 8.მონაკო | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.ნიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 10.ტულუზა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.სენტ ეტიენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12.ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 13.მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-2 | 3 |
| 14.ბორდო | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 15.ლორიანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 16.ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 17.ტრუა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-9 | 2 |
| 18.გაზელეკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 19.მონპელიე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| 20.გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ზვოლე-ტვენტე ... 2:1
ალკმაარი-ტილბურგი ... 0:0
დენ ჰააგი-უტრეხტი ... 1:1
ნაიმეგენი-აიაქსი ... 0:2
ფეინოორდი-ვიტესი ... 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ტონდელა ... 1:0
ეშტორილი-მორეირენსე ... 2:0
გიმარაეში-ბელენენსეში ... 1:1
ნასიონალი-მადეირა ... 1:0
აროუკა-ბენფიკა ... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ლოკომოტივი ... 0:3
კრასნოდარი-მორდოვია ... 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-გრასჰოპერსი ... 0:2
თუნი-ვადუცი ... 1:0
სიონი-იანგ ბოიზი ... 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-აუსტრია ... 2:2
ალტახი-ადმირა ... 1:2

**ბელგია. პრო ლიგა**

ანდერლეხტი-ლოკერენი ... 1:0
სტანდარდი-ოსტენდე ... 1:2
კორტრაიკი-გენტი ... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ლევადიაკოსი ... 1:0
პაოკი-ქსანთი ... 0:0
ვერია-იანინა ... 1:1
ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი ... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-გაზიანთები ... 0:1
ესკიშეჰირი-სივასი ... 4:2
ანთალია-გენჩლერი ... 3:1
რიზე-ფენერბახჩე ... 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბრნო-იაბლონეცი ... 0:3
ლიბერეცი-ტეპლიცე ... 2:0
პლზენი-სიგმა ... 2:0
სპარტა-დუკლა ... 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-პიასტი ... 0:1
ლეგია-კორონა ... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ვიბორგი ... 0:1
ბრონდბიუ-სონდერიისკე ... 1:0
კოპენჰაგენი-ორხუსი ... 2:2
ესბიერგი-მიდტიულანდი ... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ატვიდაბერგი-გიოტებორგი ... 0:1
გეფლე-აიკი ... 1:2
ჰალმშტადი-იორებრო ... 2:2
კალმარი-ელფსბორგი ... 0:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ოდ გრელანდი-ვიკინგი ... 1:0
ვალერენგა-მიოლდე ... 0:1
ჰაუგესუნდი-ბოდო გლიმტი ... 2:4
სარპსბორგი-ალესუნდი ... 3:1
სტრომგოდსეტი-სტარტი ... 2:1
რუსენბორგი-მიონდალენი ... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

იარო-ინტერი ... 0:0
კუპს-კტპ ... 1:1
**კუპს-ის გოლი**
**ირაკლი სირბილაძემ გაიტანა**
მარიეჰამნი-ლახტი ... 0:2
ვპს-სჯკ ... 1:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ხორვატიამ დრეპერი დაიმატა, სლოვენია და საბერძნეთი იგებენ

ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მეტოქეები ქვეჯგუფში გამალებით ემზადებიან.

დავიწყოთ ხორვატიის ნაკრებით, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დანაკლისი განიცადა – ოლივერ ლაფაიეტი დაემტვრა, მაგრამ მისი შემცვლელი მალევე მონახა. დაშავებულ ლაფაიეტს კიდევ ერთი ნატურალიზებული კალათბურთელი დონტეი დრეპერი შეცვლის.

დრეპერი საქართველოს ნაკრებისთვის არცთუ სასიამოვნო მოგონებებს იწვევს. ყუბანის „ლოკომოტივის" ლეგიონერმა ხორვატთა მაისურით ბოლოს სწორედ იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილ გუნდთან ითამაშა და 16 ქულით მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. არადა, ტურნირი საშუალოდ 5.8 ქულით დაასრულა. ეს 2013 წლის ევრობასკეტზე მოხდა და ხორვატებმა დრამატული თამაში 77:76 მოგვიგეს.

ჩვენმა კიდევ ერთმა მეტოქემ, საბერძნეთმა, ქსანთიში გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგო – ელინებმა ტურნირზე ზედიზედ დაამარცხეს ჩეხეთი (70:56), ბოსნია-ჰერცეგოვინა (83:44) და რუსეთი (80:65).

პირველი ორი მატჩი ბერძნებმა იოლად მოიგეს, ყველაზე დაძაბული კი რუსებთან ჯახი გამოდგა, რომლის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა. დასკვნით 10-წუთეულამდე ელადელები მხოლოდ 2 ქულას იგებდნენ, მაგრამ ბოლოში დაჩაგრეს მეტოქე – 24:11.

ალსანიშნავია, რომ ბერძნებმა ეს მატჩი ერთ-ერთი ლიდერის, ზაზა ფაჩულიას ყოფილი თანაგუნდელის იანის ანტეტოკოუნმპოს გარეშე ჩაატარა. ლიდერის გარეშე გუნდი ძალიან გუნდურად გამოიყურებოდა: იანის ბურუსისი და გეორგიოს პრინტეზისი 16-16 ქულით გამოირჩნენ, ხოლო კოსტას კუფოსმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 14 ქულა, 11 მოხსნა. 11-11 ქულა ჰქონდათ ნიკოს ზისისსა და ვასილის სპანულისს.

ასევე ბოლო მეოთხედში მოიგეს მატჩი სლოვენიელებმა. იურე ზდოვცეს შეგირდებმა 76:67 მოუგეს იტალიის ნაკრებს, გუნდს, რომელმაც საქართველოს ნაკრები რამდენიმე დღის წინ 20 ქულით დაამარცხა.

იტალიელებამდე სლოვენიის ნაკრებმა, უკრაინისა (66:60) და ფინეთის (80:59) ნაკრებებიც დაამარცხა და კოპერში გამართულ ოთხთა ტურნირზე პირველობა არავის დაუთმო.

იტალიელებთან მასპინძლებმა აქცენტი შორეულ ტყორცნებზე გააკეთეს, რამაც გაამართლა კიდეც. სლოვენიამ 31-დან 10 სამქულიანი ჩააგდო, იტალიამ კი – 15-დან 3.

ქართველთა კიდევ ერთი მეტოქე, მაკედონიის ნაკრები კი ესპანეთში განადგურდა – 63:94.

მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა – სერხიო სკარიოლოს შეგირდები შესვენებაზე ზუსტად ორმაგი უპირატესობით გავიდნენ – 52:26. ცხადია, ამის შემდეგ პირინეელებს გამარჯვება აღარ გაუჭირდებოდათ.

მაკედონიელთა რიგებში საუკეთესო ნატურალიზებული ამერიკელი მძიმე ფორვარდი ჰენდრიქსი იყო 12 ქულით, ტრაიკოვსკიმ 11 ქულა ჩააგდო, სამარძისკიმ – 10.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი. უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# გულს კუნელი უხდება



გულის დაავადებების შემთხვევაში, აგრეთვე გულით გამოწვეული თავბრუსხვევისა და ხუთვის დროს, ნევროზებისა და კლიმაქსის დაწყების წინ სასარგებლოა შემდეგი ნაყენის მიღება – აიღეთ 3 სუფრის კოვზი კუნელის ყვავილი, დაასხით 600 მლ (3 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ თითო ჭიქა დღეში 3-ჯერ. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სპირტის ნაყენი. კუნელის ახალი ყვავილის წვენს დაუმატეთ 2 წილი სპირტი (90 გრადუსიანი) და გააჩერეთ 15 დღე. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 4 წვეთი.

– აიღეთ 0,5 კილოგრამი მწიფე კუნელის ნაყოფი. გარეცხეთ და დაჩეჩქვეთ ხის ჩაქუჩით, დაასხით 100 მლ (1/2 ჩაის ჭიქა) წყალი. გააცხელეთ 40 გრადუსამდე და დაწნეხეთ წვენის გამოსაწურში. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ. ეს ნაყენი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ასაკოვანი ხალხის გულის კუნთის მუშაობაზე, იცავს გულს გადაღლილობისგან.

– გულის ხუთვის, ვეგეტონევროზების ჰიპერტონული დაავადებების დროს – აიღეთ 1 სუფრის კოვზი კუნელის მშრალი ნაყოფი, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათის განმავლობაში თბილ ადგილას (ჰაერლუმელში, ქურაზე), გაწურეთ, ნაყენი შეინახეთ ბნელ, გრილ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ 1-2 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

❖ ❖ ❖

კუნელის წვენის მისაღებად აიღეთ 1 კგ ნაყოფი, 500 გრამი შაქრის ფხვნილი, 1 ლიტრი წყალი. გარეცხილ ნაყოფს დაასხით ცოტა წყალი და ხარშეთ 1-2 საათის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე, გახეხეთ საცერში, მიღებულ პიურეს დაუმატეთ შაქარი, წყალი, დადგით ისევ დაბალ ცეცხლზე, მიიყვანეთ დუღილამდე, გააცივეთ.

მიიღეთ ორი ჩაის კოვზი დღეში ერთხელო, ნელა, აუჩქარებლად, ერთი მეორის მიყოლებით. დღეები არ გააცდინოთ. წამალი უნდა გეყოთ სამი თვის განმავლობაში.

– მინდვრის შვიტას ყვავილი – 2 წილი, მატიტელას ბალახი – 3 წილი, კუნელის ყვავილი – 5 წილი. ამ ნარევის ერთ სადილის კოვზს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ ერთი საათი, გაწურეთ, მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში აჩქარებული გულისცემის და უძილობის დროს.

– ფარსმანდუკის ბალახი – 3 ნაწილი, ვალერიანის ძირები – 1 ნაწილი, 1 სადილის კოვზი ამ ნარევისა დააყენეთ 1 ჭიქა ცივ წყალში 3 საათის განმავლობაში. ვადუღოთ ორთქლზე 15 წუთი, გადავწუროთ. დავლიოთ 1/3 ჭიქა სამჯერ დღეში გულის აჩქარების, ნერვული აღგზნებისა და უძილობის დროს.

– გულ სისხლძარღვთა დაავადებისა და ჰიპერტონიის დროს ხორცსაკეპში გაატარეთ 500 გრამი ლიმონი კანიანად (წინასწარ კურკები ამოაცალეთ), დაამატეთ 500 გრამი ასკილი, 500 გრამი შტოში და 500 გრამი თაფლი. დააყენეთ დღე-ღამის განმავლობაში. მოხმარებისას მაცივარში გქონდეთ შენახული. მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

1 ლიტრი წყალი აადუღეთ, აიღეთ თითო მწიკვი შემდეგი ბალახებისა: შავბალახა, ბერულა, კატაბალახას დაჭრილი ძირები, მატიტელა და სამკურნალო გვირილა.

ყველაფერი ეს დააყენეთ თერმოსში ნახევარი საათით. გაწურეთ. შემდეგ ორივე შემადგენლობა კარგად აურიეთ ერთმანეთში, დადგით ბნელ ადგილას 3 დღით.

პირველად მიირთვით თითო ჩაის კოვზი დღეში 2-ჯერ (დილა საღამოს) ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ კი – 1 სუფრის კოვზი 2-ჯერ დღეში.

ათდღიანი შესვენების შემდეგ წამალი ისევ დაამზადეთ და გააგრძელეთ მკურნალობა ერთი წლის განმავლობაში.

## სითხის ნაკლებობა საკვების შეთვისებას ხელს უშლის

ექიმებს მიაჩნიათ, რომ ჩაი, ყავა, რძე ან სხვა სასმელი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილებას სუფთა, ნატურალური წყლის მიმართ, რომელიც აუცილებელია ყველა შინაგანი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. წყლის ნაკლებობა არღვევს ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციას, რასაც ავადმყოფობას ვეძახით. სამედიცინო ლიტერატურაში შეხვდებით რეკომენდაციას, იმის თაობაზე, რომ ადამიანმა დღე ღამის განმავლობაში 2 ლიტრი სითხე უნდა მიიღოს.

საკმარისია სითხის ნაკლებობა იგრძნოს, რომ საჭმლის შეთვისება ირღვევა, ცვლილებას განიცდის სისხლწარმოქმნა, წყალი საჭიროა უჯრედშივე მიმდინარე პროცესებისათვის უვარგისი შხამიანი ნივთიერებების ორგანიზმიდან „განსადევნად" – თირკმლების, კანის, ფილტვებისა და ნაწლავების საშუალებით. სუნთქვისას ადამიანი დღე ღამეში 2 ლიტრამდე სითხეს მაინც კარგავს.

სითხის დაკარგვისას ორგანიზმი „შრება" კანი „ჭკნება", ზოგჯერ სითხის უკმარისობა ყურადღების დაქვეითებას იწვევს. იქმნება პრობლემები კუჭის მოქმედებასთან დაკავშირებით (შეკრულობა).

ამერიკელი დიეტოლოგების მოსაზრებით არასაკმარისმა წყლის მიწოდებამ შეიძლება თავის ტკივილი და დაღლილობა გამოიწვიოს.

ავადმყოფობის დროს აუცილებელია დიდი რაოდენობით წყლის მიღება, რათა ორგანიზმიდან შხამიანი ნივთიერებები გამოდევნოს.

თუკი ადამიანმა, სხვადასხვა მიზეზის გამო, სხეულის წონის 2% სითხე დაკარგა – წყურვილის გრძნობა ჩნდება, 8% ის დაკარგვის შემთხვევაში – ცნობიერების დაბინდვა, ხოლო 10% ის დეფიციტისას – ჰალუცინაციები ჩნდება. ზაფხულში ორგანიზმს მეტი სითხე ესაჭიროება. ზოგი სპეციალისტი თვლის, რომ წყლის დალევა სჯობს ჭამის წინ, ზოგი ჭამის შემდეგ გვირჩევს. ასევე ყოველთვის, როცა წყურვილი შეგაწუხებთ, სასურველია სვათ წყაროს წყალი, რადგან იგი ყველაზე სუფთაა.

## რა უნდა მივიღოთ გაციების დროს



ჟოლო ჩვეულებრივი – შაქრიანი ჟოლოს წვენი კარგია მაღალი სიცხის დროს. გამხმარი ნაყოფის ნაყენი შეგიძლიათ ასე მოამზადოთ: 1 ს.კ. დაქუცმაცებულ ჟოლოს დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი და დააყოვნეთ 20 წუთი. ცხელი ნაყენი თითო ჭიქა მიიღეთ დღეში 2 ჯერ.

❖ ❖ ❖

ჟოლო თაფლით – 1 ს.კ. თაფლი, 1 ს.კ. ჟოლო, 1 ს.კ. მოცხარი აურიეთ, დაასხით 100 მლ მდუღარე, დააყოვნეთ 15 წუთი. დალიეთ 3 ჯერ დღეში ნახევარი ჭიქა ჭამის წინ.

დინდგელი – 2 მარცვალი მუხუდოს ზომის დინდგელის ნაჭერი მუდმივად გედოთ პირში და ღეჭეთ.

❖ ❖ ❖

ნიორი თაფლით – დანაყილი ნიორი აურიეთ ნატურალურ თაფლს თანაფარდობით 1:1 თან. მიიღეთ ძილის წინ 1 ს.კ. ცხელ წყალთან ერთად.

❖ ❖ ❖

ბოლოკი (ხველების დროს) – ბოლოკი ძალიან წვრილად დაჭერით და მოაყარეთ შაქარი. გამოყოფილი ტკბილი წვენი დალიეთ 1 ს.კ. ყოველ საათში.

❖ ❖ ❖

სურდო – ადუღეთ 15 20 წუთის განმავლობაში 60 გრ წიწაკის ფესვი 1 ჩაის ჭიქა თეთრ ღვინოში. შემდეგ ნახარში გაფილტრეთ და მიიღეთ ცხელი სახით 3 ჯერ დღეში 3 5 დღის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

ქრონიკული სურდოს დროს, როდესაც გაქვთ ცხვირის „გაჭედვის" შეგრძნება, დაიდეთ მდოგვი ქუსლზე და შეიხვიეთ. ჩაიცვით შალის წინდები და იყავით ასე 1 2 საათი. შემდეგ მოიხსენით მდოგვის საფენები და იარეთ ოთახში სწრაფად რამდენიმე ხნის განმავლობაში. უმჯობესია ეს პროცედურა ძილის წინ გააკეთოთ. სურდოს დროს კარგია ასევე ახალგახეხილი ჭარხლის წვენი. ის უნდა შეურიოთ თანაბარი რაოდენობის თაფლს და მიიღოთ ნახევარი ჭიქა 3 4 ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

ძლიერი და გახანგრძლივებული ხველის დროს ერთ კოვზ ანწლის გამხმარ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთს და გამოწურეთ. მიიღეთ თითო მეოთხედი ჭიქა 3 4 ჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე.

❖ ❖ ❖

ანგინა შეიძლება ერთი დღე ღამის განმავლობაში განვკურნოთ, თუ დავღეჭავთ ნაძვის ახალდადენილ ფისს.

საზოგადოება

## წელს ყურძნის საერთო მოსავალი 200 ათას ტონამდე იქნება

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი სამანიშვილის თქმით, მართალია, 2015 წელი ხარისხიანი მოსავლით გამოირჩევა, თუმცა დაბალი ექსპორტის გამო, სუფსიდია იგივე დარჩა.

ამის შესახებ სამანიშვილმა „სპუტნიკ-ჯორჯიასთან" ინტერვიუში განაცხადა.

– 2015 წელს ხარისხიანი მოსავალი მოვიდა. ყურძნის მოსავალი დაახლოებით 200 000 ტონას შეადგენს, თუმცა ექსპორტი, შარშანდელთან შედარებით, ცოტა შემცირებულია და ყურძენზე მოთხოვნა ნაკლებია.

ამიტომ, მთავრობამ გადაწყვიტა, რომ სუფსიდია დატოვოს იგივე, როგორიც შარშან იყო, რათა ყურძნის გადამუშავება წახალისდეს, – განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

მისივე თქმით, რთველი 2015-ის საკოორდინციო შტაბი თელავში იქნება, რომელიც ოფიციალურად 26 აგვისტოს გაიხსნება.

ნიუსპრესი

## ყვარელი სეტყვამ 891 ათასი ლარით აზარალა

ოფიციალური მონაცემებით, ყვარელში 20 აგვისტოს სტიქიის შედეგად 550-მდე ოჯახისთვის მიყენებული ინფრასტრუქტურული ზიანი 891 ათასი ლარს შეადგენს. დაზარალებული ოჯახების აღწერა უკვე დასრულებულია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, სტიქიამ საფერავის ჯიშის 1300 ჰექტარი, ხოლო რქაწითელის ჯიშის 1000 ჰექტარი ყურძენი გაანადგურა.

სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მათ ვისაც 5 ჰექტრამდე მოცულობის ვენახი აქვთ, დაზიანებული ვენახის გადასარჩენად შხამ-ქიმიკატები გადაეცემათ. იმ ადამიანებს, რომლებსაც ვენახები დაზღვეული არ ჰქონდათ, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი არ აუნაზღაურდებათ.

მედიანიუსი

## საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტემპერატურის მკვეთრ ვარდნას ვარაუდობენ

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამინდის მკვეთრი გაუარესებაა მოსალოდნელი.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, საქართველოს ყველა რეგიონში მოსალოდნელია წვიმა და ქარის გაძლიერება.

დაბალი ტემპერატურა თვის ბოლომდე შენარჩუნდება, სექტემბრის დასაწყისიდან კი ისევ დათბება.

– როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს და უმეტეს რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, – განაცხადა გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზის მთავარმა სინოპტიკოსმა ნონა ელისაშვილმა.

ნიუსპრესი

## ასტროპროგნოზი
### 25 აგვისტოსათვის



**ვერძი** – საკმაოდ წინააღმდეგობრივი, რთული დღეა. ნებისმიერი წამოწყება წარუმატებელი იქნება. შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **კურო** – რთული და დაძაბული დღეა. დიდია კონფლიქტების ალბათობა. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებენ. **ტყუპები** – ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით. გარშემომყოფებთან უხეშობა და პირდაპირობა არ გარგებთ. **კირჩხიბი** – გარისკვის შემთხვევაში გარკვეულ წინააღმდეგობებს შეხვდებით. დახმარებას ერთგული მეგობრები გაგიწევენ. **ლომი** – მზად იყავით პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის. ახალი ნაცნობები ამ საქმეში გარკვეულ როლს შეასრულებენ. **ქალწული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნეს-პარტნიორებს არ ენდოთ და არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – დღის დევიზია დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთობა მეგობრებთან და ახლობლებთან. ბიზნესში პრობლემებია მოსალოდნელი. გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. **ღრიანკალი** – ნებისმიერ რთულ სიტუაციაში სულიერი სიმტკიცის გამოჩენა გჭირდებათ. ნუ ეცდებით, თქვენი სიმართლე ვინმეს დაუმტკიცოთ. **მშვილდოსანი** – წინააღმდეგობრივი და დაძაბული დღეა. შესაძლოა, ახალმა ინფორმაციამ თქვენს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანოს. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში კონფლიქტია მოსალოდნელი. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **მერწყული** – ეს დღე ფინანსურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. გელით სიურპრიზი საყვარელი ადამიანისგან. ერიდეთ ჩხუბს ოჯახის წევრებთან. **თევზები** – ვარსკვლავები გმფარველობენ. იაქტიურეთ. მზად იყავით პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის. შესანიშნავი დღეა ახალი საქმის დასაწყებად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ფირმა აშშ-ში; 2. აეროპორტი კიევში; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. ბრაზილიური არაყი; 9. ისრაელის დაზვერვა; 11. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. ხეობა აფხაზეთში; 14. კუთხე საქართველოში; 18. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი.

**თარაზულად:** 4. იტალიელი მოდელიორი; 5. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, სადაც გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. მათემატიკური ორწევრი; 10. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 13. მეტროს სადგური თბილისში; 15. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 16. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 17. საჭმელი სოკო; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 23. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პალპაცია; 6. პიანოლა; 8. ბალზამი; 10. კალევალა; 11. ალბომი; 13. კრატერი; 16. ვიქტორია; 18. არენა; 19. ანონა; 21. არაბია; 22. ატრიბუტი; 23. ბაობაბი.

**შვეულად:** 1. მაქსველი; 2. სცილა; 3. პანორამა; 4. ჟალუზი; 7. ემალი; 9. ომარი; 12. არაქნიდები; 14. არსება; 15. კანფეტი; 17. ურატები; 20. ერატო.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიამეი; 2. არმია; 3. მარაკანა; 4. ონაგრი; 5. კათხა; 6. პაი; 7. ადა; 8. ქართუ; 9. ქვირითი; 10. ბაქანი; 11. „სატირიკონი"; 12. კატაკანა; 13. კორსიკა; 14. ტანგო; 15. იო; 16. ორდენი; 17. მირონ; 18. თვე; 19. კანოე; 20. კაზენზი; 21. კესო; 22. ალპაკა; 23. მერაბ; 24. ზანგი; 25. სან; 26. საზანო; 27. მერინოსი; 28. რეგრესი; 29. არსენა; 30. ირმის.

**სურათებზე:** ედიტ გონსალესი; ჟულიო სეზარი.

# მარკუს მეტრეველი მინისტრად ინიშნება?



საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებული მომღერალი მარკუს მეტრეველი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია და მის მიმართ ინტერესი არასდროს ნელდება. ახლაც, როცა საქართველოს მთავრობაში აქტიურად განიხილება ცვლილებები და მინისტრების მოხსნის საკითხი, სხვადასხვა კანდიდატებთან ერთად, მარკუს მეტრეველის სახელი და გვარიც ამოტივტივდა.

ტელეპროდიუსერი ნოე სულაბერიძე მინისტრთა კაბინეტის განახლებასთან დაკავშირებით თავის პროგნოზს აქვეყნებს.

ნოე სულაბერიძე:

– ძალიან შევწუხდი ბოლო დღეებში არაერთხელ დაანონსებული მინისტრების გადაყენება-ჩანაცვლების თემით! იმის ალბათობა თუ არსებობს, რომ ყველა შეიცვალოს პირველად და უკანასკნელად, დინამოს შემადგენლობის პრინციპით, ექსკლუზიურად გთავაზობთ მინისტრთა კაბინეტის ჩემ მიერ დამუშავებულ ვერსიას, იმედია, აღფრთოვანდებით!

1. **საგარეო საქმეთა მინისტრი** – გუგული მაღრაძე
2. **ფინანსთა მინისტრი** – გუბაზ სანიკიძე
3. **განათლების მინისტრი** – სოსო ჯაჭვლიანი
4. **კულტურის მინისტრი** – ლუკა კურტანიძე
5. **ევროინტეგრაციის მინისტრი** – ლევან ვასაძე
6. **შს მინისტრი** – რეზო ამაშუკელი
7. **ეკონომიკის მინისტრი** – ნუკრი ქანთარია
8. **თავდაცვის მინისტრი** – პაატა ზაქარეიშვილი
9. **სოფლის მეურნეობის მინისტრი** – მარკუს მეტრეველი
10. **ვიცე-პრემიერი** – თემურ ქეცბაია
11. **პრემიერ-მინისტრი:** რა თქმა უნდა, ნარმანია!

**პ.ს.** რამე პრეტენზია გაქვენ?

*ეკა ირემაშვილი*

# „მის პლანეტა 2015" საქართველოში ჩატარდება




მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სილამაზის კონკურსი „მის პლანეტა 2015" წელს საქართველოში ჩატარდება. კონკურსის ორგანიზატორი და მასპინძელი საქართველოში სამოდელო სააგენტო „კატრინია".

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში 12 სექტემბერს სილამაზის კონკურსის ფინალი გაიმართება. დარბაზში შეკრებილი მაყურებლის წინაშე 35 ქვეყნის წარმომადგენელი წარდგება. ღონისძიების ორგანიზატორების განცხადებით, პლანეტის ლამაზმანს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს, რომელიც 20 ქვეყნის წარმომადგენლისგან იქნება დაკომპლექტებული.

კონკურსის ფინალამდე, კონკურსანტებს სამი ურთულესი ტურის გავლა მოუწევთ. პირველი ტური სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართება, სადაც მონაწილეები ეროვნულ ტანსაცმელსა და საცურაო კოსტიუმებს წარმოადგენენ. სწორედ ამ ეტაპზე გამოვლინდება „მაყურებლის სიმპათიის" მფლობელი. მეორე ტური და ნახევარფინალი სასტუმრო „ამბასადორი კაჭრეთში" ჩატარდება, ხოლო მესამე ეტაპს რესტორანი „ბერმუხა" უმასპინძლებს.

საქართველოს წარმომადგენელი „მის პლანეტა 2015"-ზე 18 წლის თიკო ბაბლუანია. ის საქართველოში ჩატარებული შიდაშესარჩევი კონკურსის შედეგად იქნა არჩეული. თიკო სამოდელო სააგენტო „კატრინის" მოდელია.

*ეკა ირემაშვილი*

# „სიმინდის კუნძულს" იტალიის კინოთეატრებში აჩვენებენ



საქართველოს მიერ „ოსკარზე" წარდგენილ გიორგი ოვაშვილის გახმაურებულ ფილმს „სიმინდის კუნძული" მსოფლიო კინოფესტივალებზე მოგზაურობის შემდეგ, ევროპის ქვეყნების კინოთეატრებში აჩვენებენ. ქართული ფილმი გერმანიის კინოთეატრების შემდეგ, უკვე იტალიის კინოთეატრებში იქნება ნაჩვენები.

„სიმინდის კუნძული" ხელოვნურად შექმნილ კუნძულზეა გადაღებული, რომელიც ტყიბულის წყალსაცავზე აშენდა. ფილმში მოქმედება მდინარე ენგურზე, გაზაფხულის წვიმების შედეგად წარმოქმნილ პატარა კუნძულზე ვითარდება, სადაც გლეხები გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ წარმოქმნილ კუნძულებზე სიმინდის მოსაყვანად ნოყიერი ნიადაგის მოძებნას ცდილობენ.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საზღვარზე, მდინარე ენგურის მიერ შექმნილ პატარა კუნძულზე მოხუცი აფხაზი სახლდება თავის მოზარდ შვილიშვილთან ერთად, ფიცრულ ქოხს აშენებს და სიმინდს თესავს.

სცენარი ფილმისათვის სამი წლის განმავლობაში იქმნებოდა. „სიმინდის კუნძული" ფსიქოლოგიური დრამაა და მისმა ბიუჯეტმა 1,5 მილიონი ევრო შეადგინა. ფილმი 6 ქვეყნის საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ყაზახეთისა და უნგრეთის ერთობლივი პროდუქცია და 30-მდე საერთაშორისო პრიზის, მათ შორის, კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზის – ბროლის გლობუსის მფლობელია.

ფილმმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია. ქართველი მაყურებლის ნაწილმა ფილმი განსაკუთრებულად მოიწონა, ნაწილმა – დაიწუნა, ნაწილმა კი რეჟისორი პედოფილიაში დაადანაშაულა. ასეა თუ ისე, ფილმი წარმატებით აგრძელებს თავის მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო და სხვადასხვა ქვეყნის კინოთეატრებში ელოდება მაყურებელს.

*ეკა ირემაშვილი*

# ზურა ხაჩიძე ახალ კლიპს იღებს

ქართული ესტრადის წარმომადგენლები ცხელ ზაფხულს და დასვენებას მაინც მუშაობისთვის იყენებენ და შემოდგომაზე ერთგული თაყვანისმცემლებისთვის ახალ სიმღერებს წერენ და კლიპებს იღებენ.



გამონაკლისი არც „ქუჩის ბიჭების" ერთ-ერთი წევრი ზურა ხაჩიძეა. ის ბათუმში ახალ სიმღერაზე კლიპს იღებს და, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სიყვარულზე მღერის. ზურა ხაჩიძე სოლო-ალბომზეც მუშაობს და შემოდგომაზე თავის ერთგულ მსმენელს არაერთი სიახლით უბრუნდება.

იმის გამო, რომ „ქუჩის ბიჭების" ერთ-ერთი წევრი გურამ ლომიძე საქართველოში არ იმყოფება, ჯგუფი ერთობლივ კონცერტებს ველარ მართავს, ამიტომაც მისმა წევრებმა სოლო კარიერაზე დაიწყეს ფიქრი. ზურა ხაჩიძე ბევრს მოგზაურობს და სხვადასხვა ქვეყნებში კონცერტებსაც მართავს, მის სიმღერებზე დიდი მოთხოვნაა, ამიტომაც სოლო რეპერტუარზე დაიწყო მუშაობა.

ზურას ახალი სიმღერა ბათუმზე და სიყვარულზეა, ამიტომაც ლოგიკურია, რომ კლიპის გადაღებებიც ბათუმში მიმდინარეობს. სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორი გელა გნოლიძეა. ამჯერად გელას სარეჟისორო დებიუტია და ზურასთვის კლიპსაც თვითონ იღებს.

კლიპში ზურა ხაჩიძესთან ერთად მარიამ შარანგია და დეა აფციაური მონაწილეობენ. ბათუმზე, სიყვარულსა და ზაფხულზე გადაღებული კლიპის პრეზენტაცია შემოქმედებით ჯგუფს პირველ ან 2 სექტემბერს აქვს დაგეგმილი.

*ეკა ირემაშვილი*

**კალეიდოსკოპი**

# ვაშინგტონის ზოოპარკში პანდას ბელი ეყოლა



ვაშინგტონის ეროვნულ ზოოპარკში გიგანტურმა პანდამ, სახელად მეი სიანმა ბელი გააჩინა. ამ ინფორმაციას დაწესებულება საკუთარ ოფიციალურ ტვიტერში ავრცელებს.

დათვის ბელი 22 აგვისტოს დაიბადა ადგილობრივი დროით 17:34 საათზე. აპრილის ბოლოს მეი სიანმა ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა გაიარა, რისთვისაც ჩინეთის ტიან ტიანის ზოოპარკში ბინადარი ხუეი ხუეის გაყინული სპერმა იქნა გამოყენებული.

მეი სიანმა ადრე ოთხი ბელი გააჩინა, მაგრამ მხოლოდ ორი გადარჩა. ტაი შანი 2005 წელს გაჩნდა და ამჟამად ჩინეთში იმყოფება. ხოლო 2013 წელს დაბადებული ბაო ბაო ვაშინგტონში დედასთან დარჩა.

გიგანტური პანდები გადაშენების პირას მყოფი სახეობაა. მას უკიდურესად მცირე ნაყოფიერება ახასიათებს, განსაკუთრებით ტყვეობაში ყოფნის დროს. მათი ბუნებრივი საარსებო არეალი ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ქედით შემოიფარგლება.

სულ ბუნებაში დაახლოებით 1,6 ათასამდე გიგანტური პანდა ბინადრობს, კიდევ 300 მდე კი ტყვეობაშია, ძირითადად ჩინეთში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ირლანდიაში კონფერენციაზე ორი ათასმა წითურთმიანმა მოიყარა თავი

ირლანდიის საგრაფო კორკში მდებარე დასახლება კროსჰეივენში წითურთმიანთა კონფერენცია ჩატარდა. ღონისძიებას, რომელიც მეექვსედ გაიმართა, ორი ათასამდე ადამიანი დაესწრო.

კონფერენციის ფარგლებში ორგანიზებული იქნა კონკურსი, სტაფილოების შორ მანძილზე სროლაში. ასევე მონაწილეებს სახეზე დაუთვალეს ჭორფლები და მათი ნამდვილობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს, შემდეგ კი წითურთმიანთა მეფე და დედოფალი აირჩიეს.

კონფერენციის იდეოლოგმა და ორგანიზატორმა ჯოლინ კრონინმა განაცხადა, რომ ყველა წითურთმიანის ერთად თავმოყრის იდეა 2009 წელს დაიბადა, როდესაც ძმის დაბადების დღეს ზეიმობდნენ.

– საოცარია, როდესაც გარშემო უამრავი წითურთმიანი ადამიანია. თქვენ დასახლების ქუჩებში მიაბიჯებთ, გარშემო მყოფთა ნახევარი კი წითურია, – აღნიშნა კრონინმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ქართველი მოცეკვავეები ბულგარეთის ფესტივალის ტრიუმფატორები გახდნენ

ქართველი მოცეკვავეები ბულგარეთში გამართული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ტრიუმფატორები გახდნენ. ფესტივალის კომპეტენტურმა ჟიურიმ მთავარი პრიზი – გრანპრი ანსამბლ „არაგველების" მოცეკვავეს ცეკვა ჯეირანის შესრულებისთვის გადასცა, პირველი ადგილი კი მთლიანად ანსამბლ „არაგველებს" მიანიჭა. ანსამბლის ხელმძღვანელი სუხიშვილების მოცეკვავე, ქორეოგრაფი დათო წამალაიძეა.

ქართველმა მოცეკვავეებმა კიდევ ერთი ჯილდო დაიმსახურეს. ფესტივალში მონაწილე ანსამბლი „ერთსულოვნება" მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

ბულგარეთში გამართულ ფოლკლორის ყოველწლიურ ფესტივალზე ქართული ანსამბლები კავკასიური ცეკვების საერთაშორისო ასოციაციის ორგანიზებით პირველად იღებდნენ მონაწილეობას და იქიდან წარმატებულებიც დაბრუნდნენ. ფესტივალი ბულგარეთში წელს მეშვიდედ ჩატარდა და მასში პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფოლკლორული ანსამბლები გაერთიანდნენ.

*ეკა ირემაშვილი*

**საერთაშორისო**

# ლუკაშენკომ ოპოზიციონერები „შეიწყალა"



ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ე.წ. „ჰუმანური ჟესტი" გააკეთა და უკანონოდ დაპატიმრებული ოპოზიციონერები „შეიწყალა." მათ შორისაა პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი სტატკევიჩი, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალება დააბრალეს. გაათავისუფლეს აგრეთვე ჯგუფი ანარქისტების, რომელთაც ბრალი ტერორიზმში ედებოდათ.

– ამ ბიჭებს ვერც იარაღი ალმოუჩინეს, ვერც ასაფეთქებელი მასალა! მიუხედავად ამისა, მაინც დააპატიმრეს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ანარქისტების ერთადერთი დანაშაული იყო ის, რომ ხელზე ჰქონდათ ტატუ: „ლუკაშენკო წადი!" ამან მათი ბედი გადაწყვიტა. ყველანი ტერორისტებად გამოაცხადეს და გაასამართლეს.

– ახლა ბელორუსის პრეზიდენტმა ისინი „შეიწყალა" – იტყობინება ბი-ბი-სი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# სამგლოვიარო განცხადებები

შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტული პარტია მწუხარებას გამოთქვამენ პარტიის წევრის კარენ არუთინიანის დედის

**ასია არუთინიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

ეროვნული პროგრამა

**სამშაბათი 25 აგვისტო**

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" 09.00 **ძიუ-დო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. (პ/ტრ ასტანადან) 13.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 **ძიუ-დო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 17.00 ტ/სერ. **"უკანასკნელი საზღვარი"** 19.30 "სიტყვების თამაში" (გ/ჩვ) 20.30 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 21.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის მეორე რაუნდი (პ/რ) 00.30 მხ/ფ **"ბასკერვილების ძაღლი"**

08.00, 15.00, 17.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10, 14.00, 19.00 ტ/სერ. **"ადვოკატები"** 11.00 დ/ფ "ჯონ სფარის ნახატები" 12.00 მხ/ფ **"ლამაზი ანტონიო"** (დრამა) 1-2 სერ. 16.00 დ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" 18.00 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" 20.00 **ფეხბურთი** – სუპერ თასი: **დილა – დინამო** 22.00 "მოამბე" (5 ენაზე) 22.40 **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა 00.40 "ნამდვილი დრო"

07.30 სერ. **"მერლინი"** 08.30 სერ. **"კარმა"** 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"ბოშა ქალი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40, ქრონიკა 11.20 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 7 სერ. 13.00 შალვა რამიშვილის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"ჟუმონგი"** 2 სერ. 23.30 კართაგენი უნდა დაინგრეს! (მერაბ კოსტავა - ცხოვრება და მოღვაწეობა) 1 ნაწ. 00.30 ერთხელ საქართველოში 01.00 მხ/ფ **"სამარცხვინო გასეირნება"** (ჯ.მერდსენი) 02.50 მხ/ფ **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ.ბილი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თომა "აჭარა - დიდი თამაშები" 23.00 თომა "ტერორისტი" 23.30 სერ. **"გრიმი"** 1ს 16 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 სპექტაკლი **"ბედი ქართლისა"** 07.25 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ.ფილმი "კეროტის თავგადასავალი" 14 სერ 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი "ქრისტიან ბერებთან და ძვლების მტვირთველთან შეხვედრა" 10.40 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ხაშური 11.00 თაობა ზეტი 11.30 ჩვენი ამბავი 11.40 ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთი" 12.10 მხ/ფ **"ფიროსმანი"** 13.30 დოკ. ფ. "ველური ბუნება" გრძელცხვირა მაიმუნის საიდუმლო სამყარო! 14.00 დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 ტალანტები და თაყვანისმცემლები-"ეთერ ჭყონია" 16.20 დოკ. ფ. "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" 17.00 მგზავრები წუთისოფლისა-სოფ.ბაზალეთი, ჩირდიანთკარი, მჭადიჯვარი 18.10 მულტ. ფილმი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-ელესა (ქედა) 20.00 ღია აუდიტორია-ნესტან სულავა - ხანცდელი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი-დავით ალმაშენებლის ეპოქა 22.00 სიახლენი 22.20 ჩვენი საგანძური "ლარგვისის ოთხთავი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი "ჯიმშელეიშვილები" 23.30 დოკ. ფილ. 00.30 ერთსულოვნების სალონი "სოდომის ცოდვა"

**მაესტრო** 7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** 8.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "ველადის ვაჟი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 0.30 **სერიალი "კარმა"** 2.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

25 აგვისტო

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3336 | ევრო — 2.6342 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6614 | 100 რუსული რუბლი — 3.4225 |

**ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა



## კალეიდოსკოპი

### მეგანი ფოქსი მეუღლეს შორდება

ფილმ ტრანსფორმერების ვარსკვლავი მეგანი ფოქსი ქმარს, მსახიობ ბრაიან ოსტინ გრინს შორდება.

ფოქსმა მეუღლესთან დაშორების მიზეზად მეუღლეებს შორის წარმოქმნილი შეურიგებელი უთანხმოებები დაასახელა.



წყვილს ორი ბავშვი ჰყავს: ნოა (2012 წელს დაიბადა) და ბოდი (2014 წელსაა დაბადებული). ფოქსმა შეიტანა თხოვნა, რომ განქორწინების შემდეგ ბავშვები მასთან დარჩნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილი ერთმანეთს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში დაშორდა. წყვილთან დაახლოებული პიროვნების ინფორმაციით, მეგანი აქტიური გოგონაა, ბევრს მუშაობდა და მცირე დროს უთმობდა ოჯახსა და სახლს. ასეთი მდგომარეობა არ მოსწონდა მის მეუღლეს, რაც ხშირად კამათის მიზეზი ხდებოდა და შედეგად ამ ყოველივემ განქორწინება გამოიწვია.

ფოქსი მსახიობ ბრაიან ოსტინ გრინს ცოლად 2010 წელს გაჰყვა.

### ამერიკული ავიახაზები ცხოველებს პირველი კლასით გადაიყვანს

ამერიკულმა კომპანიამ თავის კლიენტებს ახალი მომსახურება შესთავაზა. ახლა მათ უკვე შეეძლებათ სალონში შეიყვანონ თავიანთი შინაური ცხოველები და ისინი თავიანთ პირდაპირ საგანგებო განყოფილებაში მოათავსონ.

– ჩვენ პირველი კლასის კაბინები ისე მოვაწყვეთ, რომ



კლიენტების ცხოველებისთვის მგზავრობა მოსახერხებელი იყოს, – განაცხადა კომპანიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. მისი ვარაუდით ეს მომავალში მოდური ტრენდი იქნება.

იმისთვის, რათა შინაური ცხოველი სპეციალურ კაბინაში მოათავსოს, მგზავრმა 125 დოლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო მისი შეკვეთა ბილეთების დაჯავშნასთან ერთად უნდა მოხდეს. ასევე შეკვეთის გასაფორმებლად კლიენტს ვეტერინარის ცნობა დასჭირდება. ჯერჯერობით ამ მომსახურებით სარგებლობა ნიუ-იორკის რეისზე სან-ფრანცისკოდან ან ლოს-ანჯელესიდანაა შესაძლებელი.

ამჟამად ეს მომსახურება მხოლოდ მცირე ზომის ცხოველებისთვისაა ხელმისაწვდომი. ავიაკომპანიის წარმომადგენელთა თქმით, მალე პირველი კლასით მგზავრობას ყველა ზომის შინაური ცხოველები შეძლებენ. მომსახურებას უკვე შეარქვეს „პერის ჰილტონის კაბინა" ცნობილი პიროვნების პატივსაცემად, რომელიც ხშირად მგზავრობს თავისი ძაღლებით.

### რიკშა ვეფხვის ქანდაკებამ იმსხვერპლა

ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში რიკშა მას შემდეგ დაიღუპა, როდესაც ბენგალური ვეფხვის ქანდაკება დაეცა. ინციდენტი ქალაქის ერთ-ერთ ბაზარში მოხდა.



42 წლის მოჰამედ ალი საკუთარ სატრანსპორტო საშუალებაში იმყოფებოდა, როდესაც გიგანტური ქანდაკება კვარცხლბეკიდან გადმოვარდა. მძიმედ ტრავმირებული მამაკაცი მეხანძრეებმა აღმოაჩინეს. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

– ჩვენთვის უცნობია, რატომ იმყოფებოდა ალი ქანდაკების კვარცხლბეკთან. შეიძლება ეძინა, ან წვიმის გამო ეფარებოდა, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა. მისი თქმით, წვიმებმა ქანდაკების სტრუქტურა დაასუსტა, მან საკუთარ სიმძიმეს ველარ გაუძლო და ჩამოვარდა. ამ შემთხვევამ ადგილობრივი მცხოვრებლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან მათ არაერთხელ მიმართეს ხელისუფლებას ქანდაკების ცუდი მდგომარეობის გამო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მე-15 სუპერთასი: დილა-დინამო



დღეს საქართველოს სუპერთასი გაიმართება. ცოტა არ იყოს, რთულია უეფას სუპერთასის ფენომენალური მატჩის შემდეგ ამ თამაშზე საუბარი, მაგრამ ჩვენია და გვინდა უმაღლეს დონეზე ავიდეთ.

ძალიან კარგი და სასურველი იქნება, თუ საქართველოს სუპერთასზეც ისეთივე აჟიოტაჟი იქნება გულშემატკივრებში, რაც 11 აგვისტოს გამართული თამაშისთვის დავინახეთ, მაგრამ ამ ეტაპზე მაქსიმუმი 5.000 გულშემატკივარი თუ იქნება.

სუპერთასისთვის, რომელიც „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე გაიმართება, ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი გორის „დილა" და თასის მფლობელი თბილისის „დინამო" შეერკინება.

ქართული რეალობისთვის მატჩი კარგი უნდა გამოდგეს. ორივე გუნდი აშკარად გამოირჩევა ჩვენს ჩემპიონატში და ამ მატჩში თამაშის უფლებაც დამსახურებულად მოიპოვეს.

„დინამო" სუპერთასს ნაჩვევია – 9-ჯერ აქვს ნათამაშები და 5-ჯერ მოიგო, „დილასთვის" კი, მეორე სუპერთასია. პირველში გორელებმა პენალტებით დათმეს „ზესტაფონთან".

„დინამომ" სუპერთასი პირველივე გათამაშება მოიგო. 1996 წელს ან უკვე აღარ არსებულ ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე დედაქალაქელები ბათუმელ თანაკლუბელებს დაუპირისპირდნენ და მეტოქეს მშრალი ანგარიშით – 4:0 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ ანგარიში „დინამოს" ფორვარდმა ალექსანდრე იაშვილმა გახსნა, რომელიც დღესაც იცავს კლუბის ღირსებას, მაგრამ მას შემდეგ გერმანიაში რამდენიმე გუნდი გამოიცვალა.

**ყველა ფინალი:**

**1996 წელი: დინამო (თბ) – დინამო (ბთ) 4:0**
**1997: დინამო (თბ) – დინამო (ბთ) 4:1 – დინამო ბათუმი [თასის მფლობელი]**
**1998: დინამო (ბთ) – დინამო (თბ) 2:1**
**1999: დინამო (თბ) – ტორპედო 1:0**
**2000-04 წლებში არ გამართულა**
**2005: დინამო (თბ) – ლოკომოტივი 1:0**
**2006: ამერი – სიონი 1:0**
**2007: ამერი – ოლიმპი 4:1**
**2008: დინამო (თბ) – ზესტაფონი 1:0**
**2009: ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ) 2:1 (დდ)**
**2010: ოლიმპი – ვიტ ჯორჯია 2:0**
**2011: ზესტაფონი – გაგრა 3:1**
**2012: ზესტაფონი – დილა 0:0 (4:2პ)**
**2013: ჩიხურა – დინამო (თბ) 1:0**
**2014: დინამო (თბ) – ჩიხურა 1:0**

მ. ჟ.

## ბალოტელი „მილანში" დაბრუნებასთან ახლოს არის



მარიო ბალოტელი რამდენიმე დღის წინ მილანში ჩაფრინდა, სადაც „როსონერის" თავკაც სინიშა მიხაილოვიჩს და მის ასისტენტს შეხვდა.

„ლივერპულს" ბალოტელის იჯარით გასხვისება სურს და მარიო, შესაძლოა, „მილანში" აღმოჩნდეს. ფეხბურთელის მილანში ვიზიტიც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოს არის.

ბალოტელის „მილანში" უკვე ნათამაშევი აქვს. ფეხბურთელმა ამ გუნდის შემადგენლობაში 54 შეხვედრა ჩაატარა და 30 გოლის გატანა შეძლო.

ბალოტელი ცნობილია თავისი ჭირვეული ხასიათით და ხშირად ეხვევა ხოლმე სკანდალებში. შარშანდელი სეზონი მისთვის ძალიან ცუდი გამოდგა „ლივერპულის" შემადგენლობაში და გასაკვირი არ არის, რომ ინგლისურ კლუბს მისი გაყიდვა სურს.

## თომას მიულერი არ იყიდება



მთელი ზაფხულის მანძილზე აქტიურად დადიოდა ჭორები იმის შესახებ, რომ თომას მიულერს შესაძლოა გუნდი გამოეცვალა და „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასულიყო. „იუნაიტედი" 85 მილიონ ევროს სთავაზობდა გერმანულ „ბაიერნს", მაგრამ ეს ტრანსფერი მაინც არ შედგა.

რამდენიმე დღის წინ „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა მათიას ზამერმა ამ ჭორებს საბოლოოდ დაუსვა წერტილი და განაცხადა, რომ მიულერს „ბაიერნი" არ ყიდის. ზამერის თქმით, „ბაიერნი" ამ სატრანსფერო ბაზარზე არავის გაუშვებს.

## იუმორი



•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შე უპატრონო, ყოველ ღამე გახეთქილი მთვრალი რომ მოეთრევი, დაწვები, საცვალს გამხდი, გადაბრუნდები და იძინებ... რეზინი კი არ მიჭერს...

•••

ახალგაზრდა ახალ მანქანას იყიდის და ორ მეგობარს ჩაისვამს. გავა ტრასაზე, მიაწვება სატერფულს და სიჩქარეს 170-180-ზე აიყვანს. ერთი ძმაკაცი ეუბნება:

– თუ ძმა ხარ, გამიჩერე, ჩავალ, მეშინია.

– ნუ გეშინია, მფარველი ანგელოზი თან დამყვება და მიცავს.

მაგრამ მეგობარი არ მოასვენებს და გაუჩერებს მანქანას. შემდეგ ისევ აკრეფს სიჩქარეს და 210-220-მდე აუწევს. ახლა მეორე მეგობარი ეუბნება:

– ძმურად, გამიჩერე, უნდა ჩავიდე. მეც მეშინია.

– ხომ გეუბნებით, მფარველი ანგელოზი დამყვება და მიცავს.

– შენი ჭირიმე, გამიჩერე, რა ანგელოზი, უნდა ჩავიდე.

გაუჩერებს მანქანას. მეგობარი ჩამოვა, თვითონ კი ისევ გააგრძელებს რბოლას. სიჩქარე 250-260-ს მიაღწევს, ამ დროს უკნიდან ვიღაც ხელს უბრახუნებს. გაოცებული მიიხედავს და ეკითხება:

– შენ ვიღა ხარ?

– შენი მფარველი ანგელოზი და კაცურად გამიჩერე, მეც უნდა ჩავიდე.

•••

მამა შვილს ზოოპარკში წაიყვანს, არც ერთ ატრაქციონზე არ დასვამს, არც ბატიბუტს უყიდის და არც ბამბის ნაყინს, გასასვლელთან ბავშვი მამას მიუბრუნდება და ეუბნება:

– ამწონე მაინც!

•••

ბავშვს ეკითხებიან:

– პატალა, ლათ გინდა ამქელა ლოკები?

– აბა, სტუმარი რომ მოვა, უკანალზე ხომ არ ვაკოცნინებ...

•••

ნუდისტურ პლაჟზე მამაკაცი ქალთან მივა და ეუბნება:

– ქალბატონო, ძალიან მომეწონეთ!

– ვხედავ, ბატონო, ვხედავ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 5. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. მე-17 საუკუნის ესპანელი ფერმწერი; 9. სიბერით გამოწვეული დაავადებათა შემსწავლელი დისციპლინა; 13. ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში; 15. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 16. თურქული აბანო; 18. მინერალური წყალი იმერეთში.

**თარაზულად:** 4. ბნელი, ჭუჭყიანი საკანი, სატუსაღო; 6. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 11. ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი; 12. საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 14. აეროპორტი ჩიკაგოში; 17. მოქანდაკის ხის საჭრისი; 19. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 20. შაქრის ლერწმის შაქარი; 21. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 22. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 23. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

